დანართი №3

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: შორენა ხუბუნაია

წევრები:

- ირმა ქორთუა
- გიორგი მამასახლისი
- ხათუნა ურუშაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua _____

_____

_____

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება: საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)

საიდენტიფიკაციო კოდი: 202949159

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

■ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მიერ დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 05 მაისის MES 8 25 0000486945 ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე), ირმა ქორთუა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი), გიორგი მამასახლისი - დარგის ექსპერტი (წევრი) - "სპორტის ინსტრუქტორი", ხათუნა ურუშაძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - "მასაჟის თერაპია", (შემდგომში „ექსპერტთა ჯგუფი“), დაგვევალა მიმდინარე წლის **16, 17, 18 და 20 ივნისს** დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება ორ მისამართზე, ქ. თბილისში, ე. ნინოშვილის ქ. 55 და ქ. ქუთაისში, გაპონოვის ქ. 11., სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტი სახელმწიფო კოლეჯში.

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის (შემდგომში „კოლეჯი“ ან „დაწესებულება“ ან დასახელება სრულად) ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებებს, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯის ვებგვერდსა და მასზე გათავსებულ ინფორმაციას, კოლეჯში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნებსა და საოქმო გადაწყვეტილებას.

2025 წლის 03 ივნისს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულების ორივე მისამართზე მიმდინარე პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის კოლეჯის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

2025 წლის 16, 17 და 18 ივნისს ქ. თბილისში, ხოლო 20 ივნისს ქ. ქუთაისში ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი კოლეჯში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს (45 პირი, მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua _____

_____

შორის ქუთაისის მისამართზე 20 პროფესიული სტუდენტი), პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს (სულ 27, მათ შორის ქუთაისის მისამართზე 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი), პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს (2, მათ შორის ქუთაისის მისამართზე 1 ობიექტის წარმომადგენელი). პროგრამას კურსდამთავრებული ჯერ არ ჰყავს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, ორივე მისამართზე, სრულად იქნა შესწავლილი კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი.

დაწესებულებამ მიმდინარე წლის 17 ივლისს MES 7 25 0000883213 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრული აქტივობების შესრულებისთვის დაწესებულების განსაზღვრული ვადა არ აღემატება 5 თვეს. ექსპერტთა მიერ შეფასებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და შედეგები ასახულია წინამდებარე დასკვნაში შესაბამისი სტანდარტის შეფასებისას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხები, კერძოდ:

ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. 55			
შესაბამისობის რეკომენდაცია			
N	გაცემული რეკომენდაციის აღწერა	ინფორმაცია შესრულების შესახებ	შენიშვნა
1	**ინდიკატორი 4.1.1.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული,** დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების რელევანტური განაწილება და სტრუქტურული ერთეულების დაქვემდებარება განსაზღვროს იმგვარად, რომ უზრუნველყოს პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების ეფექტიანი შესრულება. განახორციელოს დაწესებულების პერსონალის	**შესრულებულია** დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და სამუშაო აღწერილობები“, სადაც გაწერილია სამუშაო აღწერილობა, ფუნქციები და მოვალეობები, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2025 წლის 18 თებერვლის N 03-12 ბრძანებით. ცვლილება შეეხო დაწესებულებაში ცალკეული საშტატო ერთეულების დამატებას და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების დაზუსტებას, რაც განპირობებულია დაწესებულებაში ექსპერტთა ბოლო ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულებით.	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

	მართვის პროცესის შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზია და საქმიანობაში დაიცვას საკუთარი რეგულაციით განსაზღვრული პროცედურა, რომელიც ამავდროულად იქნება შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებთან, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 თებერვლის №03-01 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N1) თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 4 თვე.	საშტატო ერთეულისათვის განსაზღვრული სამუშაოს აღწერილობების მიხედვით პერსონალის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. დაწესებულების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, რომელთა გადანაწილება არ მოდის წინააღმდეგობაში დაწესებულებაში პერსონალისათვის დელეგირებულ ფუნქციებთან.	
2	**ინდიკატორი 4.1.1.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული,** დაწესებულებამ კოლეჯში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები განსაზღვროს იმგვარად, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი, განახორციელოს დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზია და საქმიანობაში დაიცვას საკუთარი რეგულაციით განსაზღვრული პროცედურა, რომელიც ამავდროულად იქნება შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებთან, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 თებერვლის №03-01 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N2)თანახმად,	**შესრულებულია** დაწესებულებაში განხორციელებულია შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზია, გამოცემულია შესაბამისი ბრძანებები მეთოდოლოგიურ დოკუმენტებში ცვლილებების განხორციელების თაობაზე, რითაც გათვალისწინებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პერსონალისათვის დელეგირებული ფუნქცია-მოვალეობები გამორიცხავს კოლეჯში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის პერსონალის ფუნქციების ინტერესთა კონფლიქტს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის წლიური სამოქმედო გეგმა, სადაც მოცემული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

	რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 4 თვე.		
3	**ინდიკატორი 5.1.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული,** დაწესებულებამ ქ. ქუთაისის ფილიალში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილებისთვის უზრუნველყოს უსაფრთხო და გამართული ლიფტის ფუნქციონირება, რომელიც დადასტურებული იქნება უფლებამისილი პირის მიერ გაცემული დადებითი დასკვნით, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 თებერვლის №03-01 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N3) თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 4 თვე.	**შესრულებულია** ქ. ქუთაისის ლოკაციაზე არსებული ლიფტი ავარიულ მდომარეობაშია. შესაბამისად, დაწესებულება აღარ გამოიყენებს ლიფტს და ყველა სართულზე დამონტაჟებული აქვს ასაკეცი პანდუსები, რითაც უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილებას.	
4	**ინდიკატორი 5.1.1.4 ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული,** დაწესებულებამ ქ. ქუთაისში დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობაში უზრუნველყოს ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟი, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 თებერვლის №03-01 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N9)	**შესრულებულია** დაწესებულების ორივე ლოკაციაზე არსებული ფართი აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით. ცენტრალური გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირების დასტურად წარმოდგენილია კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. კოლეჯში გათბობის სისტემის არსებობა დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას. ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ყველა სასწავლო და სამუშაო სივრცე აღჭურვილია კონდიცირების სისტემით და უზრუნველყოფილია გაგრილების შესაძლებლობა, რასაც დადებითად აფასებენ კოლეჯის პროფესიული სტუდენტები და პერსონალი.	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

	თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 15 თვე.		
5	**ინდიკატორი 5.1.1.5 მეტწილადაა დაკმაყოფილებული,** დაწესებულებამ ორივე ლოკაციაზე უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების მექანიზმების განხორციელება, მათ შორის კანონმდებლობის შესაბამისად სერტიფიცირებულ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან თანამშრომლობა, შრომის უსაფრთხოების პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა და პრაქტიკაში განხორციელება, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 თებერვლის №03-01 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N4, 5) თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 3 თვე.	**შესრულებულია, თუმცა გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაციები** დაწესებულების ქ. თბილისის ბაზაზე დასაქმებულ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს არ ქონდა კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამის გავლის ვადიანი სერტიფიკატი. დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, 2025 წლის 18 ივნისს შრომითი ხელშეკრულებით აიყვანა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლის კვალიფიკაცია და კომპეტენცია შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ქ. თბილისის ბაზაზე არასრულად ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. დაწესებულებაში არ ხორციელდება რისკების შეფასება. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პერსონალს გარკვეული პერიოდულობით უტარდება კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო ინსტრუქტაჟი, თუმცა ინსტრუქტაჟის ჟურნალში აღნიშნული ჩანაწერები არასრულად იყო წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ახლად აყვანილ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, რომელმაც დაადასტურა შესასრულებელი მოვალეობების განხორციელების კომპეტენცია და აღნიშნა, რომ უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული აქტივობის შესრულებას. დაწესებულების დორექტორის 2025 წლის 18 თებერვლის N03-15 ბრძანებით დამტკიცებულია „**შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“** და „სამუშაო სივრცეში რისკების შეფასებისა და მართვის მეთოდოლოგია“. ქ. ქუთაისის ბაზაზე დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოდგენილია რისკების მართვის სქემები, ნარჩენი რისკების მართვის მექანიზმები, ინსტრუქტაჟის შევსებული ჟურნალები და სხვ.	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

6	**ინდიკატორი 5.1.2.2. მეტწილადაა დაკმაყოფილებული,** დაწესებულებამ ქ. ქუთაისის ბაზაზე უზრუნველყოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების განხორციელება, განსაზღვროს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 თებერვლის №03-01 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N6) თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 4 თვე.	**შესრულებულია, თუმცა გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაციები** ქ. ქუთაისის ბაზაზე დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის მერიოდში 2025 წლის 18 ივნისს გააფორმა მომსახურების ხელშეკრულება პირველად გადაუდებელ დახმარებაზე მომსახურების გაწევის შესახებ, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირთან. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა აღნიშნული პირის კვალიფიკაცია, რომელსაც უდასტურდება ექიმის კვალიფიკაცია. ინტერვიურებისას პირველად გადაუდებელ დახმარებაზე მომსახურების გაწევაზე პასუხისმგებელმა პირმა არასრულად იცოდა საკუთარი მოვალეობები, რაც იმით აიხსნა, რომ ხელშეკრულება ახალი გაფორმებულია და ჯერ თანამშრომლობის პროცესი არ დაწყებულა. 2025 წლის 18 ივნისამდე აღნიშნული მოვალეობა დავალებული ჰქონდა პირველადი გადაუდებელი დახმარების მოდულის განმახორციელებელ პირს, თუმცა რადგან პროფესიული მასწავლებელი მხოლოდ სალექციო დღეებში იქნება კოლეჯში, უწყვეტი მომსახურება ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი. ქ. ქუთაისის ბაზაზე ცალკე მოწყობილი არ იყო პირველადი გადაუდებელი დახმარების სივრცე, თუმცა დაწესებულებას ინვენტარი და თავისუფალი ოთახები გააჩნია.	
7	**ინდიკატორი 5.1.2.3. მეტწილადაა დაკმაყოფილებული,** დაწესებულებამ ორივე ლოკაციაზე უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმის ამოქმედება, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 თებერვლის №03-01 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N7) თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 4 თვე.	**შესრულებულია** დაწესებულების ორივე ლოკაციაზე მოქმედებს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხებული „საგანგებო სიტუაციებში მოქმედების სამაშველო გეგმა“. შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი და განაწილებულია ფუნქციები წევრებს შორის. აღნიშნული დადასტურებულია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2025 წლის 10 მარტის N MIA52500701339 წერილის საფუძველზე ქ. ქუთაისის, ხოლო 2025 წლის 16 მაისის N MIA 6 25 01468609 წერილის საფუძველზე ქ. თბილისის ლოკაციაზე.	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

8	**ინდიკატორი 5.2.1.2. მეტწილადაა დაკმაყოფილებული,** დაწესებულებამ ორივე ლოკაციაზე უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვა, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 თებერვლის №03-01 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N8) თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 4 თვე.	**შესრულებულია** კოლეჯში ორივე ლოკაციაზე ხორციელდება საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვა, რის დასტურადაც წარმოდგენილია ორივე ლოკაციის ქსელის ადმინისტრატორების ანგარიშები, IT ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების რეკომენდაციები, მოთხოვნის ფორმები და შესყიდული ინვენტარი.	
		განმავითარებელი რეკომენდაცია	
1	**ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს,** *ამასთან, რეკომენდებულია მისიიდან ამოღებულ იქნას ტერმინი - „საზოგადოებრივი კოლეჯი“*, ვინაიდან კანონმდებლობა არ განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემულ სტატუსს.*	**შესრულებულია** დაწესებულებამ ცვლილებები შეიტა საკუთარ მისიაში და წარმოდგენილია შემდეგნაირად: დაწესებულების მისიაა - *სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთადერთი სასპორტო მიმართულების პროფესიული დაწესებულების მისიაა, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესისა და მასობრივი სპორტის დანერგვა/ განვითარებას და შრომის ბაზარზე არსებული დეფიციტისა და მოთხოვნების უზრუნველყოფა.*	
2	**ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და**	**შესრულებულია** დაწესებულებაში მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და ცვლილებების შეტანის პროცესი რეგულირდება სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 08 დეკემბრის N03-32 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - საქართველოს ფიზიკური	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

	საჯაროდაა ხელმისაწვდომი. *ამასთან, ვინაიდან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თანასაზოგადოება არ არის მხოლოდ კოლეჯის პერსონალი, რეკომენდებულია დაწესებულებამ კოლეჯის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩართოს სხვა დაინტერესებული პირები, მაგალითად პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულებულები, პარტნიორი დაწესებულებისა და დამსაქმებელთა წარმომადგენლები და სხვა, რაც გაზრდის დაწესებულების მართვასა და ფუნქციონირებაში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას.*	აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის, დამტკიცებისა და გაზიარების მეთოდოლოგია. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და ანგარიშგების წესით“, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელდა 2025 წლის 17 თებერვალს N03-09 ბრძანებით. ცვლილება განპირობებულია დაწესებულებაში ექსპერტთა ბოლო ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციით, რომელიც ეხებოდა კოლეჯის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში სხვა დაინტერესებული პირების ჩართვის მნიშვნელობას, მაგალითად პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პარტნიორი დაწესებულებისა და დამსაქმებელთა წარმომადგენლები და სხვა, რაც გაზრდიდა დაწესებულების მართვასა და ფუნქციონირებაში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია.	
3	**ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.** *თუმცა, რეკომედებულია: 1. დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განახორციელოს კვარტალურად ან არანაკლებ წელიწადში ორჯერ 6 თვიანი ანგარიშგების*	**შესრულებულია, თუმცა გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაციები** კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 15 ნოემბრის N03-22 ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან კოლეჯის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. სამუშაო ჯგუფს დაევალა 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის პროექტის შედგენა, ხოლო კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 03 დეკემბრის №03-23 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025 სასწავლო წელი, რომელშიც ცვლილება განხორციელებულია 2025 წლის 17 თებერვალს N03-10 ბრძანებით. ცვლილებები შეეხო სამოქმედო გეგმაში ასახული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელ და პროცესში მონაწილე პირთა შემადგენლობის ცვლილებას, რა დროსაც გათვალისწინებულია პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის შემთხვევაში დაცულია ინტერესთა კონფლიქტის საკითხი. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია დაწესებულებაში ექსპერტთა ბოლო ვიზიტის დროს გაცემული	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

	გზით, რაც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მაღალ ხარისხის, პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებების ეფექტიანობას. 2. დაწესებულებამ მეთოდოლოგიით განსაზღვროს და პრაქტიკაში გამოიყენოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ინდიკატორები.	რეკომენდაციებით. ამავე ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები ასევე ეხებოდა დაწესებულების სამოქმედო გეგმაში რესურსებისა და შესრულების ინდიკატორების განსაზღვრას. დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ მათ შეიმუშავეს სამოქმედო გეგმის ახალი ფორმა, რომელსაც დაწესებულება გამოიყენებს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას. ახალი სამოქმედო გეგმის ფორმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზანი, სტრატეგიული ამოცანა, აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, რისკები, შესრულების მტკიცებულებები, რესურსები (მატერიალური, ფინანსური, ადამიანური) კალენდარული თვეები, პასუხისმგებელი და პროცესში მონაწილე პირები. დაწესებულების მიერ დაგეგმილია სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგი 6 თვეში ერთხელ.	
4	**ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს,** *თუმცა რეკომენდებულია სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის წევრებად განსაზღვროს პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლები, კურსდამთავრებულები და პროფესიული სტუდენტები.*	**შესრულებულია** სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 08 დეკემბრის N03-32 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის, დამტკიცებისა და გაზიარების მეთოდოლოგია. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N 03- 09 ბრძანებით. მეთოდოლოგიის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის, მიხედვით, „კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებელ წევრად განსაზღვრავს კოლეჯის დირექციას, ადმინისტრაციას (ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი,ბუღალტერი, პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი, PR და HR მენეჯერი, იურისტი) და სხვა დაინტერესებულ პირებს (პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები, პარტნიორი დაწესებულებისა და დამსაქმებელთა წარმომადგენლები). აღნიშნულის დასტურად, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია კოლეჯის სტრატეგიულ გეგმაში დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 17	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

		თებერვლის N03-10 ბრძანებით განხორციელებული ცვლილება, რომელიც ძირითადად შეეხო ტექნიკურ და დაწესებულების შიდა პროცესებთან შესაბამისობის უზრუნველყობის საკითხებს, თუმცა კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფთან ინტერვიურებისას, იმსჯელეს, რომ საანგარიშო პერიოდში დაწესებულებამ გაითვალისწინა ბოლო ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია და მეთოდოლოგიაში შეიტანა შესაბამისი ცვლილება, რაც იძლევა შესაძლებლობას კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩაერთოს დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრი.	
5	**ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს,** *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის შედგენისას წინასწარ განსაზღვროს საორიენტაციო ფინანსური/მატერიალური/ადამიანური რესურსი, მათ შორის დაფინანსების წყარო, რომელიც აისახება დაწესებულების ბიუჯეტში, რაც დაეხმარება კოლეჯს განსაზღვროს აქტივობათა მასშტაბები და ოპტიმალურად გამოიყენოს საკუთარი რესურსები დაწესებულების მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.*	**შესრულებულია** კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 03 დეკემბრის N03-23 ბრძანებით დამტკიცებულ კოლეჯის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში (2024-2025 სასწავლო წელი), რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N03-10 ბრძანებით, განსაზღვრულია სტრატეგიული ამოცანა, აქტივობა, შესრულების ინდიკატორები, აქტივობის შესრულების პერიოდი თვეების მიხედვით, შემსრულებელი პირები. თუმცა, კოლეჯის მიერ დამტკიცებულ წლიურ გეგმაში არ არის განსაზღვრული რესურსები. ამავე ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები ასევე ეხებოდა დაწესებულების სამოქმედო გეგმაში რესურსებისა და შესრულების ინდიკატორების განსაზღვრას. დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ მათ შეიმუშავეს სამოქმედო გეგმის ახალი ფორმა, რომელსაც დაწესებულება გამოიყენებს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას. ახალი სამოქმედო გეგმის ფორმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზანი, სტრატეგიული ამოცანა, აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, რისკები, შესრულების მტკიცებულებები, რესურსები (მატერიალური, ფინანსური, ადამიანური) კალენდარული თვეები, პასუხისმგებელი და პროცესში მონაწილე პირები.	
6	**ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ**	**შესრულებულია** დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის, როგორც კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის ხელმძღვანელის 2025 წლის 16 ივნისის N MES 5 25 0000669642	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

	შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ წლის განმავლობაში ორჯერ ან კვარტალურად განახორციელოს სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, ხოლო არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ სტრატეგიული გეგმის შესრულების შუალედური მონიტორინგი და შეფასება, რაც დაეხმარება კოლეჯს დროულად დაიდენტიფიციროს სამოქმედო/სტრატეგიული გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შეუსრულებლობლის მიზეზები და განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები.*	სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე დასამტკიცებლად წარდგენილია დაწესებულების წლიური გეგმის შუალედური (6 თვიანი) და წლიური ანგარიშების ფორმები, რომელებიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N03-27 ბრძანებით. ვინაიდან დაწესებულების წლიური გეგმის ამოქმედებიდან (2025 წლის იანვარი) ჯერ არ გასულა 6 თვე, შუალედური ანგარიში არ არის შედგენილი, თუმცა კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფთან ინტერვიურებისას განაცხადეს, რომ პერსონალი ივნისის ბოლოს შეაჯამებს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულებას და წარმოადგენს კოლეჯის მიერ დამტკიცებული ფორმით. ექსპერტთა მიერ დადებითადაა შეფასებული დაწესებულების შუალედური და საბოლოო ანგარიშგების ფორმები, ვინაიდან სრულად მოიცავს ანგარიშგების მიზნებისათვის საჭირო ინფორმაციას, მათ შორის: სტრატეგიულ ამოცანას, აქტივობებს, ინდიკატორებს, განხორციელების პერიოდებს, პასუხისმგებელ პირებსა და თანაშემსრულებლებს, შესრულების შედეგებს და შესრულების მტკიცებულებას.	
7	**ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე,** *თუმცა რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეაფასოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კონკრეტული აქტივობის შესრულება, ხოლო შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შემთხვევაში დაადგინოს შესაბამისი მიზეზები/გარემოებები, განსაზღვროს პასუხისმგებელი პირები, რა დროსაც იმოქმედებს დაწესებულების შინაგანაწესის 29-ე (დისციპლინური პასუხისმგებლობის სახდელის სახეები) და 31-ე მუხლების (დასაქმებულების წახალისების სახეები) მოთხოვნათა შესაბამისად.*	**შესრულებულია** დაწესებულების სტრტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილების მიხედვით (დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N 03-09 ბრძანებით შესული ცვლილება) მეთოდოლოგიის მე-7 მუხლი ითვალისწინებს დაგეგმილი აქტივობების შესრულების შედეგებზე რეაგირების მექანიზმებს, კერძოდ - მუხლი 7.3. თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირი/პირები წარდგენილ 6 თვიან/წლიურ ანგარიშში განსაზღვრავენ კონკრეტული ანგარიშის შესრულების ინდიკატორს, რაც გულისხმობს (კი, არა, ნაწილობრივ შესრულდა) და დასაბუთებას კონკრეტული აქტივობის არ/ნაწილობრივ/ვერ შესრულების შესახებ. მუხლი 7.4. ანგარიშის წარდგენის შემდგომ კოლეჯის დირექტორი გასცემს შესაბამის მითითებებს/რეკომენდაციებს კონკრეტული აქტივობის შემდგომ პერიოდში გადახედვაზე. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, რაც გაწერილია კოლეჯის შინაგანაწესში, ახორციელებს შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების ან დისციპლინური დევნის გამოყენებას. ვინაიდან დაწესებულების წლიური გეგმის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

		ამოქმედებიდან (2025 წლის იანვარი) ჯერ არ გასულა 6 თვე, შუალედური ანგარიში არ არის შედგენილი, თუმცა შემუშავებულია ანგარიშგების ფორმები.	
8	**ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, *თუმცა რეკომენდებულია:*** *1. დაწესებულებამ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს პროგრამის წინაპირობების შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა წინარე განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობა პროფესიულ სტუდენტთა პირად საქმეში;* *2. დაწესებულებამ შეასრულოს კოლეჯის დირექტორის 2020 წ. 26.06. N03-09 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესის“ მე-4 მუხლით (ხელშეკრულებების აღრიცხვის წესი) განსაზღვრული პროცედურები და დროულად უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთათვის ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარის მიწოდება;* *3. დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი შესაბამისობაში მოიყვანოს პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან;* *4. დაწესებულებამ დაარეგულიროს უცხოეთში/ოკუპირებულ ტერიტორიაზე*	**შესრულებულია** 1. დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც არ ჰქონდათ წარმოდგენილი წინარე განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ვინაიდან ისინი არ გამოცხადდნენ კოლეჯში, დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის მარეგულირებელი წესის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტის საფუძველზე, რაც გულისხმობს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა ან/და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების 1/3-ის გაცდენას“ – 7 პროფესიულ სტუდენტს დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N01-11 ბრძანებით შეუწყდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი. 2. ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისის ბაზაზე პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებიც რეგისტრირებულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში. 3. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და 2025 წლის იანვრის თვეში ყველა პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულია შეთანხმება ხელშეკრულების მე-5 მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე. შეთანხმებაში მოცემული დებულებები არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან. 4-5. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები და ჩარიცხვის წესი, რომლის მე-8 მუხლი განსაზღვრავს ჩარიცხვის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხას, სადაც კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტების გარდა, მოთხოვნილია უცხოეთში/უკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში - განათლების აღიარების დოკუმენტის და თავდაცვის კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

	მიღებული განათლების შემთხვევაში - განათლების აღიარების დოკუმენტის წარმოდგენის სავალდებულოობა; *5. დაწესებულებამ უზრუნველყოს თავდაცვის კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წვევამდელის სტატუსის მქონე კოლეჯში სწავლის მსურველი პირების მიერ ხელშეკრულების გაფორმებამდე წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.*	წვევამდელის სტატუსის მქონე კოლეჯში სწავლის მსურველი პირების მიერ ხელშეკრულების გაფორმებამდე წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.	
9	**ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, *თუმცა რეკომენდებულია*:** *1. დაწესებულებამ დროულად უზრუნველყოს კოლეჯის დირექტორის 2020 წ. 26.06. N 03-09 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესის“ მე-4 მუხლით (ხელშეკრულებების აღრიცხვის წესი) განსაზღვრული პროცედურების შესრულება;* *2. დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი შესაბამისობაში მოიყვანოს პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.*	**შესრულებულია** 1. ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისის ბაზაზე პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებიც რეგისტრირებულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში. 2. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და 2025 წლის იანვრის თვეში ყველა პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულია შეთანხმება ხელშეკრულების მე-5 მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე. შეთანხმებაში მოცემული დებულებები არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან.	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

10	**ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას,** *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმებისა და პროცედურების ფორმალიზება, გაიწეროს ინიციატივების წარდგენის წესი, მათი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები, მხარდაჭერისა და ანგარიშგების ეტაპები და სხვ.*	**შესრულებულია** კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის N 03-09 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის, კონსულტაციის გაწევის წესი და კურსდამთავრებულთა ბაზების მართვის მექანიზმები“, რომელშიც შესულია ცვლილებები კოლეჯის დირექტორის ბრძანებებით (18.02.2025წ. N 03-16; 18.04.2025წ. No 03-24) რომლის მე-9 მუხლი არეგულირებს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმებს, რის მიხედვითად სპორტის კოლეჯი ღიაა სტუდენტური ინიციატივების მხარდასაჭერად, სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფური ინიციატივის შემთხვევაში, ინიციატორმა განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს განცხადებით. განცხადებაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი ინიციატივის შინაარსი და მიზანი. განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, დირექტორი, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავს აღნიშნულ წინადადებას. დადებითი/უარყოფითი გადაწყვეტილება ეცნობება საინიციატივო ჯგუფს ან ინიციატივის ავტორს.	
11	**ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას,** *თუმცა რეკომენდებულია კოლეჯის სერვისებით მოსარგებლეთა კმაყოფილების კვლევა ჩატარდეს რელევანტურ პერიოდში, მაგალითად წელიწადში ორჯერ. დაწესებულების მიერ განსაზღვრული დრო (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე 1 თვით ადრე) არ იძლევა გასაუმჯობესებელი მიმართულებების აღმოფხვრის შესაძლებლობას.*	**შესრულებულია** დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N03-07 ბრძანებით, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი. პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა ტარდება წელიწადში ორჯერ, შუალედური გამოცდების დაწყებამდე ან/და პროგრამის 50%-ის გავლის შემდგომ და პროგრამის დასრულებამდე 1 თვით ადრე; გამოკითხვის მიზანია ადრესატთა კმაყოფილების დადგენა, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა შემდგომი რეაგირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებისათვის.	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

12	**ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯს დარეგულირებული აქვს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით კვლევის პროცედურა,** *თუმცა რეკომენდებულია დასაქმებასთან დაკავშირებული კვლევა ასევე ჩატარდეს ქ. ქუთაისის ბაზაზე არსებული პროფესიული სტუდენტებისთვის, ხოლო კვლევის შედეგები გაანალიზდეს და წარმოდგენილ იქნეს ანგარიშის სახით.*	**შესრულებულია** დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N03-07 ბრძანებით, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კითხვარი. გამოკითხვის მიზანია ადრესატთა კმაყოფილების დადგენა, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა შემდგომი რეაგირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებისათვის. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ტარდება წელიწადში ერთხელ, პროგრამის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ. ვინაიდან, კოლეჯს „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ ეტაპისთვის არ ჰყავს კურსდამთვრებული, საანგარიშო პერიოდში დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერმა ჩაატარა პროფესიულ სტუდენტთა კვლევა დასაქმებასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგების მიხედვით გამოვლინდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა 50% დასაქმებულია. აღნიშნული კვლევა ჩატარებულია ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის ბაზაზე.	
13	**ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად,** *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შინაგანაწესში პერსონალის შვებულების სახითხები მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.*	**შესრულებულია** დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია “შინაგანაწესი”, რომელიც არეგულირებს მხარეთა ძირითად უფლებებსა და ვალდებულებებს, შრომის განაწესს, დისციპლინური პასუხისმგებლობის წესსა და წახალისების მექანიზმებს. დაწესებულებაში ექსპერტთა ბოლო ვიზიტისას გაცემული იყო რეკომენდაცია პერსონალის შვებულებით სარგებლობის მექანიზმების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით, რაც დაწესებულებამ გაითვალისწინა და შინაგაწესში შეიტანა ცვლილებები კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N 03-11 ბრძანებით.	
14	**ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და**	**შესრულებულია მეტწილად - ექსპერტთა ჯგუფის მიერ ისევ გაცემულია რეკომენდაციები პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

	პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, *თუმცა რეკომენდებულია:* *1. დაწესებულებაში ფორმალიზდეს კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები, კანდიდატთა შერჩევის ოქმები და შერჩეული კანდიდატის წარდგინებები, რაც უფრო გამჭვირვალეს და სამართლიანს გახდის პერსონალის შერჩევის პროცესს, აგრეთვე პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის პროცესში ასევე ჩაერთოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;* 2. დაწესებულებამ დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და უზრუნველყოს შემდეგი დოკუმენტების არსებობა პერსონალის პირად საქმეში: *2.1. თავდაცვის კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წვევამდელის სტატუსის მქონე კოლეჯში დასაქმების მსურველმა ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინონ წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი;* *2.2. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“*	1. შესრულებულია - პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები დარეგულირებულია დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის N03-03 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით“ და დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის შერჩევისა და სამსახურში მიღების, ასევე საკვალიფიკაციო მოთხოვნების ერთიანი წესით“. დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ბოლო ვიზიტისას გაცემული იყო რეკომენდაცია დაწესებულებაში პერსონალის აყვანასთან და საკონკურსო წარმოებასთან დაკავშირებული პროცესების დოკუმენტირების შესახებ. დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და 2025 წლის 18 თებერვლის №03-12 ბრძანებით ცვლილებები განახორციელა პერსონალის შერჩევის წესში, დააზუსტა შერჩევის კრიტერიუმები და შეიმუშავა გასაუბრების კითხვარი. ზემოაღნიშნული მექანიზმები დაწესებულებას პრაქტიკაში ჯერ არ განუხორციელება. 2. დაწესებულებაში დაცულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და უზრუნველყოფილია შემდეგი დოკუმენტების არსებობა პერსონალის პირად საქმეში: თავდაცვის კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N 463 დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი მუხლის ზ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“; 3. შესრულებულია მეტწილად - დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

	საქართველოს კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N 463 დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი მუხლის ზ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ"; *3. დაწესებულებამ დააზუსტოს პოზიციების მიხედვით საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ის შეუსაბამოს შესაბამის ფუნქცია-მოვალეობებს.*	მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის შერჩევისა და სამსახურში მიღების, ასევე საკვალიფიკაციო მოთხოვნების ერთიანი წესით" განსაზღვრულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის (რომელიც დაწესებულებაში მოხსენიებულია როგორც უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტი, ამასთან დაწესებულებას უსაფრთხოების სამსახური არ აქვს) საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ ამ პოზიციისთვის მოთხოვნილია უმაღლესი განათლება, სახელმწიფო ენის სრულყოფილად ცოდნა, კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების ცოდნა, აღნიშნულ სფეროში მუშაობის გამოცდილება. საქართველოს ორგანული კანონის - შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, მოცემულ პოზიციაზე სავალდებულოდაა მოთხოვნილი სერტიფიცირება კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ დააზუსტოს პოზიციის დასახელება და მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ეხება შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების შესრულებაზე პასუხისმგებელ საშტატო ერთეულს.	
15	**ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას,** *თუმცა რეკომენდებულია: 1. დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა პერსონალის შეფასების შედეგები წარმოადგინოს ანგარიშის სახით და დაიდენტიფიციროს გასაუმჯობესებელი ასპექტები, ხოლო დადებითი შეფასებისას უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების ინიცირება დაწესებულების მიერ დადგენილი წესით; 2. დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგია და*	**შესრულებულია მეტწილად - ექსპერტთა ჯგუფის მიერ ისევ გაცემულია რეკომენდაციები პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით** 1. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პერსონალის შეფასების ფორმები, რომელიც განთავსებული იყო პერსონალის პირად საქმეში და ასევე ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოდგენილი პერსონალის შეფასების შედეგების ანგარიში. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს, რომელთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ საუკეთესო შეფასებების მქონე თანამშრომლებს მან სიტყვერი მადლობა გამოუცხადა, რაც ასევე დასტურდება წარმოდგენილი ანგარიშით. თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ანგარიშში წარმოდგენილია თანამშრომელთა შეფასების შედეგები და შეფასების მაღალი შედეგების მქონე თანმშრომელთა მოტივირების მექანიზმები. ამ ეტაპზე კოლეჯს არ ყავს სამუშაოს არასათანადოდ შემსრულებელი, რის გამოც არ გატარებულა სათანადო დისციპლინური ღონისძიებები. თანამშრომელთა შეფასების ანგარიშსა და	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

	უზრუნველყოს კვლევის ჩატარება წელიწადში ერთხელ.	თანამშრომელთა შეფასების ფორმებში არ არის წარმოდგენილი მათი განვითარების კრიტიკული საჭიროებები. 2. 2025 წელს დაწესებულებამ ჩაატარა ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და დამხმარე პერსონალის საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევა. კვლევის ანალიზის მიხედვით, გამოკითხულთა 69,6% თვლის, რომ აქვს პროფესიული ზრდისა და წინსვლის შესაძლებლობები, 65,2% კმაყოფილია დაწესებულების მიერ შემოთავაზებული ტრენინგისა და განვითარების პროგრამებით და თვლის, რომ იღებს მხარდაჭერას შემდგომი განათლების ან კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. კითხვარი არ იძლევა შესაძლებლობას, გამოვლინდეს პერსონალის განვითარების სპეციფიური საჭიროებები და განვითარების საჭიროებებთან დაკავშირებული ან სხვა საკითხებზე უკმაყოფილებების მიზეზები, რაც შესაძლებელია ღია კითხვების დამატების გზით იქნეს გამოვლენილი.	
ანგარიშგების წესით“, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელდა 2025 წლის 17 თებერვალს N03-09 ბრძანებით. ცვლილება განპირობებულია დაწესებულებაში ექსპერტთა ბოლო ვიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციით, რომელიც ეხებოდა კოლეჯის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში სხვა დაინტერესებული პირების ჩართვის მნიშვნელობას, მაგალითად პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულებულები, პარტნიორი დაწესებულებისა და დამსაქმებელთა წარმომადგენლები და სხვა, რაც გაზრდიდა დაწესებულების მართვასა და ფუნქციონირებაში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია.

კოლეჯის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან - კოლეჯის დირექტორი, ადმინისტრაციის თანამშრომლები და კოლეჯის მასწავლებლები (დარგის სპეციალისტები), სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პარტნიორო ორგანიზაციის წარმომადგენლები. დაწესებულების მისიაში 2025 წელს განხორციელებული ცვლილებების მიზნებისათვის წარმოდგენილია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებრივი ბარათი სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (N01-03/41), კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N03-10 ბრძანება სტრატეგიულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

კოლეჯის საზოგადოების მიერ დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მიზნებისათვის ისინი განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში კოლეჯის საზოგადოების ჩართულობისა და მათ მიერ გაზიარების ფაქტი დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 08 დეკემბრის N03-32 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის, დამტკიცებისა და გაზიარების მეთოდოლოგია. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“;
2. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

3. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, 2025 წელი, 2024 წელი, 2022 წელი, 2019 წელი, 2018 წელი, 2016 წელი, 2014 წელი;
4. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის N03-03 ბრძანებით დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
5. დაწესებულების დირექტორის ბრანებები სტრატეგიულ დოკუმენტებსა და მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე - 2025წ. 17.02. N 03-10; 2025წ. 17.02. N 03-19;
5. დაწესებულების პერსონალთან, პარნიორი დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
6. დაწესებულების ვებგვერდი - http://www.sportcolle.ge/

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 08 დეკემბრის N03-32 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის, დამტკიცებისა და გაზიარების მეთოდოლოგია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2025 წლის 17 თებერვლის N03-09 ბრძანებით. მეთოდოლოგია განსაზღვრავს მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის, დამტკიცების, გაზიარების, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების საკითხებს. მეთოდოლოგიის მიხედვით, კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებელ წევრად განსაზღვრავს კოლეჯის დირექციას, ადმინისტრაციას (ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ბუღალტერი, პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი, PR და HR მენეჯერი, იურისტი) და სხვა დაინტერესებული პირებს (პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები, პარტნიორი დაწესებულებისა და დამსაქმებელთა წარმომადგენლები).

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის N03-03 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026წწ.) კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმვა ციკლური ხასიათისაა, გათვლილია 7 წლიან პერიოდზე და ითვალისწინებს სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის საჭირო ამოცანებს, განხორციელების ვადებს (წლების ჭრილში) და შესრულების ინდიკატორებს, რომელთა საშუალებითაც მოხდება მასში მოცემული მიზნების მიღწევის ხარისხის შეფასება. დაწესებულების სტრატეგიული გეგმა (2020-2026 წწ) შემუშავებულია 2019 წლის ბოლოს, კოლეჯში იმ დროისათვის მოქმედი მეთოდოლოგიის მიხედვით, შესაბამისად, დაწესებულებაში სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფი არ შექმნილა. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ სტრატეგიული გეგმა კოლეჯის პერსონალის მიერ შემუშავდა. მომავალ წელს კოლეჯი გეგმავს ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებას, რა დროსაც იხელმძღვანელებს ახალი მეთოდოლოგიით. ასევე, კოლეჯის სტრატეგიულ გეგმაში დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 17 თებერვალს N03-10 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება. დაწესებულების სტრატეგიულ დოკუმენტებში 2025 წელს განხორციელებული ცვლილებების მიზნებისათვის წარმოდგენილია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებრივი ბარათი სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (N01-03/41) და კოლეჯის დირექტორის ბრძანება 2025 წლის 17 თებერვლის N03-10 ბრძანება. ცვლილებები შეეხო დაწესებულების მისიას და სტრატეგიული ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთა გადანაწილებას.

კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 15 ნოემბრის N03-22 ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან კოლეჯის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. სამუშაო ჯგუფს დაევალა 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის პროექტის შედგენა. ხოლო კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 03 დეკემბრის №03-23 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025 სასწავლო წელი, რომელშიც ცვლილება განხორციელებულია 2025 წლის 17 თებერვალს N03-10 ბრძანებით. ცვლილებები შეეხო სამოქმედო გეგმაში ასახული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელ და პროცესში მონაწილე პირთა შემადგენლობის ცვლილებას, რა დროსაც გათვალისწინებულია პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის შემთხვევაში დაცულია ინტერესთა კონფლიქტის საკითხი. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია დაწესებულებაში ექსპერტთა ბოლო ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციებით. ამავე ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები ასევე ეხებოდა დაწესებულების სამოქმედო გეგმაში რესურსებისა და შესრულების ინდიკატორების განსაზღვრას. დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ მათ შეიმუშავეს სამოქმედო გეგმის ახალი ფორმა, რომელსაც დაწესებულება გამოიყენებს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას. ახალი სამოქმედო გეგმის ფორმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზანი, სტრატეგიული ამოცანა, აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, რისკები, შესრულების მტკიცებულებები, რესურსები (მატერიალური, ფინანსური, ადამიანური) კალენდარული თვეები, პასუხისმგებელი და პროცესში მონაწილე პირები. დაწესებულების მიერ დაგეგმილია სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგი 6 თვეში ერთხელ.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, ისინი განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, *თუმცა რეკომენდებულია მეთოდოლოგია სრულად და დეტალურად ასახავდეს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესსა და პროცედურებს, მონიტორინგისა და შეფასების, ასევე შეფასების შედეგების საფუძველზე გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგვისა და შესრულების მიდგომებს, სტრატეგიული დაგეგმვის ციკლურობას და პროცესზე პასუხისმგებელ პირების განსაზღვრას, რომლებიც სამუშაო ჯგუფებში წარმოდგენილნილი იქნებიან მუდმივ წევრებად. აღნიშნული ხელს შეუწყობს დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმვის ერთგვაროვნებას და ფორმალიზებული პროცესების არსებობას.*

2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 08 დეკემბრის N03-32 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის, დამტკიცებისა და გაზიარების მეთოდოლოგია. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და ანგარიშგების წესის“, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N 03- 09 ბრძანებით. მეთოდოლოგიის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის, მიხედვით, „კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებელ წევრად განსაზღვრავს კოლეჯის დირექციას, ადმინისტრაციას (ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი,ბუღალტერი, პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი, PR და HR მენეჯერი, იურისტი) და სხვა დაინტერესებული პირებს (პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები, პარტნიორი დაწესებულებისა და დამსაქმებელთა წარმომადგენლები). აღნიშნულის დასტურად, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია კოლეჯის სტრატეგიულ გეგმაში დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N03-10 ბრძანებით განხორციელებული ცვლილება, რომელიც ძირითადად შეეხო ტექნიკურ და დაწესებულების შიდა პროცესებთან შესაბამისობის უზრუნველყობის საკითხებს, თუმცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფთან ინტერვიურებისას, იმსჯელეს, რომ საანგარიშო პერიოდში დაწესებულებამ გაითვალისწინა ბოლო ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია და მეთოდოლოგიაში შეიტანა შესაბამისი ცვლილება, რაც იძლევა შესაძლებლობას კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩაერთოს დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ისინი იცნობენ და იზიარებენ კოლეჯის სტრატეგიულ გეგმას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის N03-03 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026წწ.), რომელშიც ცვლილება განხორციელდა კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N03-10 ბრძანებით, მოიცავს სტრატეგიული მიზნებს, ამოცანებს, განსახორციელებელი აქტივობებს, განხორციელების ვადებს, განმახორციელებელ პირებს და შესრულების ინდიკატორებს. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 4 მიზანი: სტრატეგიული მიზანი 1 - ფორმალური განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამებისა და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა, სტრატეგიული მიზანი 2 - პერსონალის გადამზადება/კვალიფიკაციის ამაღლება, სტრატეგიული მიზანი 3 - დაგეგმილი სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები და ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეძენა/განახლება, სტრატეგიული მიზანი 4 - ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა; კოლეჯის ცნობადობის ამაღლება და სტუდენტების ჩართულობა სასწავლო პროცესში.

კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 03 დეკემბრის N03-23 ბრძანებით დამტკიცებულ კოლეჯის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში (2024-2025 სასწავლო წელი), რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N03-10 ბრძანებით, განსაზღვრულია სტრატეგიული ამოცანა, აქტივობა, შესრულების ინდიკატორები, აქტივობის შესრულების პერიოდი თვეების მიხედვით, შემსრულებელი პირები. თუმცა, კოლეჯის მიერ დამტკიცებულ წლიურ გეგმაში არ არის განსაზღვრული რესურსები. ამავე ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები ასევე ეხებოდა დაწესებულების სამოქმედო გეგმაში რესურსებისა და შესრულების ინდიკატორების განსაზღვრას. დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ მათ შეიმუშავეს სამოქმედო გეგმის ახალი ფორმა, რომელსაც დაწესებულება გამოიყენებს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას. ახალი სამოქმედო გეგმის ფორმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზანი, სტრატეგიული ამოცანა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, რისკები, შესრულების მტკიცებულებები, რესურსები (მატერიალური, ფინანსური, ადამიანური) კალენდარული თვეები, პასუხისმგებელი და პროცესში მონაწილე პირები.

წლიური სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სასწავლო წლის ფარგლებში 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის ოქტომბრის ჩათვლით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის N03-03 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026წწ.);
2. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 03 დეკემბრის N03-23 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2024-2025 სასწავლო წელი);
3. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 08 დეკემბრის N03-32 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის, დამტკიცებისა და გაზიარების მეთოდოლოგია. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“;
4. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები;
5. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 15 ნოემბრის N03-22 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
6. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებრივი ბარათი სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (N01-03/41), კოლეჯის დირექტორის ბრძანება N03-10, 17.02.2025;
7. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 03 დეკემბრის N03-23 ბრძანება კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის 2024-2025 სასწავლო წელი დამტკიცების შესახებ;
8. დაწესებულების დირექტორის ბრანებები სტრატეგიულ დოკუმენტებსა და მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე - 2025წ. 17.02. N 03-10; 2025წ. 17.02. N 03-19;
9. დაწესებულების პერსონალთან, პარნიორი დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
10. დაწესებულების ვებგვერდი - http://www.sportcolle.ge/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 08 დეკემბრის N03-32 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის, დამტკიცებისა და გაზიარების მეთოდოლოგია. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და ანგარიშგების წესის“, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2025 წლის 17 თებერვლის N03-09 ბრძანებით, მე-6 მუხლის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედი გეგმის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირია - კოლეჯის დირექტორის მოადგილე, ხოლო სტრატეგიული/სამოქმედო/გეგმის შემუშავებასა და კოორდინირებაზე - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი.

დაწესებულებაში მონიტორინგის პროცესი ეფუძნება თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირთან 6 თვეში ერთხელ ანგარიშების წარდგენას სამოქმედო გეგმის, ხოლო სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში - წლიური ანგარიშების წარდგენას წერილობითი ფორმით, ბეჭდური სახით. მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი თავის მხრივ ამზადებს მონიტორინგის ჯამურ ანგარიშს, განსახილველად წარუდგენს თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელ პირსა და კოლეჯის დირექტორს და იწვევს სხდომას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების განხილვის მიზნით. თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირი/პირები წარდგენილ 6 თვიან/წლიურ ანგარიშში განსაზღვრავენ კონკრეტული ანგარიშის შესრულების ინდიკატორს, რაც გულისხმობს (კი, არა, ნაწილობრივ შესრულდა) და დასაბუთებას კონკრეტული აქტივობის არ/ნაწილობრივ/ვერ შესრულების შესახებ. ანგარიშის წარდგენის შემდგომ კოლეჯის დირექტორი გასცემს შესაბამის მითითებებს/რეკომენდაციებს კონკრეტული აქტივობის შემდგომ პერიოდში გადახედვაზე. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, რაც გაწერილია კოლეჯის შინაგანაწესში, ახორციელებს შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების ან დისციპლინური დევნის გამოყენებას. მონიტორინგის ჯამური ანგარიშის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი, მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირთან ერთად ახდენს გეგმების კორექტირებას. მონიტორინგის შედეგების ანალიზი გადაეცემა სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შემუშავებასა და კოორდინირებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

პასუხისმგებელ პირს და ქვეყნდება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე. სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შენუშავებაზე პასუხისმგებელი პირი მონიტორინგის შედეგების ანალიზის გამოყენებით ქმნის მომავალ სამოქმედო გეგმას.

დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 15 ნოემბრის N03-22 ბრძანებით დამტკიცებულია სამუშაო ჯგუფი, რომელთაც დაევალათ 2023 – 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის განხილვა და 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება, რის დასტურადაც წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი. დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის, როგორც კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის ხელმძღვანელის 2025 წლის 16 ივნისის N MES 5 25 0000669642 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე დასამტკიცებლად წარდგენილია დაწესებულების წლიური გეგმის შუალედური (6 თვიანი) და წლიური ანგარიშების ფორმები, რომელბიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N03-27 ბრძანებით. ვინაიდან დაწესებულების წლიური გეგმის ამოქმედებიდან (2025 წლის იანვარი) ჯერ არ გასულა 6 თვე, შუალედური ანგარიში არ არის შედგენილი, თუმცა კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფთან ინტერვიურებისას განაცხადეს, რომ პერსონალი ივნისის ბოლოს შეაჯამებს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულებას და წარმოადგენს კოლეჯის მიერ დამტკიცებული ფორმით. ექსპერტთა მიერ დადებითადაა შეფასებული დაწესებულების შუალედური და საბოლოო ანგარიშგების ფორმები, ვინაიდან სრულად მოიცავს ანგარიშგების მიზნებისათვის საჭირო ინფორმაციას, მათ შორის: სტრატეგიულ ამოცანას, აქტივობებს, ინდიკატორებს განხორციელების პერიოდებს, პასუხისმგებელ პირებსა და თანაშემსრულებლებს, შესრულების შედეგებს და შესრულების მტკიცებულებას.

დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ კოლეჯში სტრატეგიული გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში არ მომზადებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად ედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია 2015-2016, 2016-2017, 2017-2018, 2019-2020, 2023-2024 წლის ანგარიშები, თუმცა ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია და არ აფასებს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კონკრეტული აქტივობის შესრულებას. აღნიშნულის თაობაზე დაწესებულებაში ექსპერტთა ბოლო ვიზიტისას გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია. დაწესებულების სტრტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილების მიხედვით (დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N 03-09 ბრძანებით შესრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

ცვლილება) მეთოდოლოგიის მე-7 მუხლი ითვალისწინებს დაგეგმილი აქტივობების შესრულების შედეგებზე რეაგირების მექანიზმებს, კერძოდ - მუხლი 7.3. თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირი/პირები წარდგენილ 6 თვიან/წლიურ ანგარიშში განსაზღვრავენ კონკრეტული ანგარიშის შესრულების ინდიკატორს, რაც გულისხმობს (კი, არა, ნაწილობრივ შესრულდა) და დასაბუთებას კონკრეტული აქტივობის არ/ნაწილობრივ/ვერ შესრულების შესახებ. მუხლი 7.4. ანგარიშის წარდგენის შემდგომ კოლეჯის დირექტორი გასცემს შესაბამის მითითებებს/რეკომენდაციებს კონკრეტული აქტივობის შემდგომ პერიოდში გადახედვაზე. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, რაც გაწერილია კოლეჯის შინაგანაწესში, ახორციელებს შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების ან დისციპლინური დევნის გამოყენებას. ვინაიდან დაწესებულების წლიური გეგმის ამოქმედებიდან (2025 წლის იანვარი) ჯერ არ გასულა 6 თვე, შუალედური ანგარიში არ არის შედგენილი, თუმცა შემუშავებულია ანგარიშგების ფორმები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია 2015-2016, 2016-2017, 2017-2018, 2019-2020, 2023-2024 წლის ანგარიშები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის N03-03 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026წწ.);
2. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 03 დეკემბრის N03-22 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2024-2025 სასწავლო წელი);
3. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 08 დეკემბრის N 03-32 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის, დამტკიცებისა და გაზიარების მეთოდოლოგია. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“;
4. დაწესებულების დირექტორის ბრანებები სტრატეგიულ დოკუმენტებსა და მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე - 2025წ. 17.02. N 03-10; 2025წ. 17.02. N 03-19;
5. დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული 2015-2016, 2016-2017, 2017-2018, 2019-2020, 2023-2024 წლის ანგარიშები;
6. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 15 ნოემბრის N03-22 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

7. სამუშაო ჯგუფის ოქმი;
8. სამსახურებრივი ბარათი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის წარდგინების შესახებ;
9. სამსახურებრივი ბარათი 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
10. დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის 2025 წლის 16 ივნისის N MES 5 25 0000669642 სამსახურებრივი ბარათი, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N03-27 ბრძანება - სამოქმედო გეგმების ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ;
11. დაწესებულების პერსონალთან, პარნიორი დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
12. დაწესებულების ვებგვერდი - http://www.sportcolle.ge/

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 17.02.2025 N03-08 ბრძანებით) დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები და ჩარიცხვის წესი“, რომელიც არეგულირებს აპლიკანტთა შერჩევის, შერჩევაში მონაწილეობის წინაპირობებს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის წესებს, შესარჩევი კომისიის შემადგენლობას, რეიტინგული სიის შედგენის საკითხებს, კოლეჯის მიერ ორგანიზებული აპლიკანტთა შერჩევის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის საკითხებს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შედეგების გამოცხადებისა და ჩარიცხვის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე მიღებისა და ჩარიცხვის, ასევე დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების წესებს. ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით განსაზღვრულ დებულებებთან.

სპორტული ტურის გამოცდის საკითხები რეგულირდება კოლეჯში მოქმედი „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შესარჩევი სპორტული ტურის დებულებით“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N03-07 ბრძანებით).

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ ზემოაღნიშნული მექანიზმების გამოყენების პრაქტიკა. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 20 ნოემბრის N01-14 ბრძანებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - „სპორტის ინსტრუქტორი“, თბილისის ლოკაციაზე ჩაირიცხა 76, ხოლო ქუთაისის ლოკაციაზე 40 პროფესიული სტუდენტი. კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მარეგულირებელი წესის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტის საფუძველზე, რაც გულიხმობს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა ან/და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების 1/3-ის გაცდენას“ – 7 პროფესიულ სტუდენტს დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N01-11 ბრძანებით შეუწყდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შემოწმდა 109 აქტიური სტატუსის მქონე და 7 სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის ბაზაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შეამოწმა პროფესიულ სტუდენტთა შესახებ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაცია, რა დროსაც შეუსაბამობა არ გამოვლენილა.

ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისის ბაზაზე პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებიც რეგისტრირებულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში.

პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობასთან, თუმცა ხელშეკრულების მეხუთე მუხლში - „კოლეჯი ვალდებულია“, 5. ა) პუნქტში მოცემულია ჩანაწერი - მოამზადოს ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მქონე სტუდენტი და გასცეს მასზე ლიცენზირებული პროფესიული დაწესებულების დიპლომი, აღნიშნული ჩანაწერი არ შეესაბამება პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

განათლების სფეროს საკანონმდებლო ნორმებს, რის თაობაზეც ექსპერტთა ჯგუფის ბოლო ვიზიტისას გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და 2025 წლის იანვრის თვეში ყველა პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულია შეთანხმება ხელშეკრულების მე-5 მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე. შეთანხმებაში მოცემული დებულებები არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 16.08.2024 #03-11 ბრძანებით) დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და ჩარიცხვის ეტაპებს; ანკეტა-კითხვარის შევსებისა და აპლიკანტთა რეგისტრაციის პროცედურებს, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენისა და შეწყვეტის, მობილობის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების გასაჩივრების წესს, კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის, პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვისა და სხვა საკითხებს.

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „ფორმალური განათლების აღიარების წესი“, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობით მოთხოვნებს.

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები და ჩარიცხვის წესი, რომლის მე-8 მუხლი განსაზღვრავს ჩარიცხვის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხას, სადაც კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტების გარდა, მოთხოვნილია უცხოეთში/უკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში - განათლების აღიარების დოკუმენტის და თავდაცვის კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წვევამდელის სტატუსის მქონე კოლეჯში სწავლის მსურველი პირების მიერ ხელშეკრულების გაფორმებამდე წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულ „შინაგანაწესში“ განსაზღვრულია სტუდენტთა უფლებების რეგულირების ისეთი საკითხები, როგორიცაა დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები (მუხლი 27), დისციპლინური პასუხისმგებლობის წარმოება (მუხლი 28), დისციპლინური პასუხისმგებლობის სახდელის სახეები (მუხლი 29), დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილებების აღსრულება (მუხლი 30) და პროფესიული სტუდენტის წახალისება (მუხლი 32). დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ აღნიშნული დებულებების პრაქტიკაში გამოყენების ფაქტი არ დამდგარა.

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 19 აგვისტოს N03-22 ბრძანებით დამტკიცებულია „ეთიკის კოდექსი“, რომელიც არეგულირებს დაწესებულებაში პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების ქცევით ნორმებს. დოკუმენტში მოცემული დებულებები არ არის კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესის დაწყებამდე კოლეჯი აწყობს საორიენტაციო შეხვედრებს როგორც ქ. თბილისის, ისე ქ. ქუთაისის ბაზაზე, სადაც განიხილება სასწავლო პროცესის, პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების, კოლეჯში არსებულ პროფესიულ სტუდენტთა სერვისების, პროგრამის შინაარსის, პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის, პრაქტიკის ობიექტზე სწავლებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ინფორმაცია გადაამოწმა პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებმაც დაადასტურეს საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებისა და მიღებული ინფორმაციის სასწავლო პროცესში გამოყენების ფაქტი. ინტერვიურებისას, პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ განმეორებითი შეფასებისა და შეფასების სისტემის გასაჩივრების ფაქტს, თუმცა ამის საჭიროება არ დამდგარა. დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დასრულებული იყო 4 მოდული, შეფასების გასაჩივრების ფაქტი არ დამდგარა, თუმცა განმეორებითი შეფასების საჭიროება არის ზოგიერთი პროფესიული სტუდენტის არ გამოცხადების საფუძვლით. ვინაიდან მოდულებზე დაშვების წინაპირობები არ ქმნის დაბრკოლებას, პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა პროგრამის დასრულებამდე ისარგებლონ განმეორებითი შეფასების უფლებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულება, სადაც პროფესიული სტუდენტები ხელმოწერით ადასტურებენ საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელ წესის, შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის გაცნობის ფაქტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-5 თავი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის მიერ პრეტენზიების განხილვის პროცედურებს, ვადებსა და პროცესში ჩართული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ინფორმაცია გადაამოწმა პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებმაც დაადასტურეს საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებისა და მიღებული ინფორმაციის სასწავლო პროცესში გამოყენების ფაქტი. ინტერვიურებისას, პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ შეფასების სისტემის გასაჩივრების ფაქტს, თუმცა გასაჩივრების საჭიროება არ დამდგარა. დაწესებულებაში ექსპერტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

ვიზიტის პერიოდში დასრულებული იყო 4 მოდული, შეფასების გასაჩივრების ფაქტი არ დამდგარა, თუმცა განმეორებითი შეფასების საჭიროება არის ზოგიერთი პროფესიული სტუდენტის არ გამოცხადების საფუძვლით. ვინაიდან მოდულებზე დაშვების წინაპირობები არ ქმნის დაბრკოლებას, პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა პროგრამის დასრულებამდე ისარგებლონ განმეორებითი შეფასების უფლებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლებენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შეამოწმა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სპორტის ინსტრუქტორი“ ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, როგორც ქ. თბილისის, ისე ქ. ქუთაისის ბაზაზე. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტების წინარე განათლების შესაბამისობა, ასევე შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი წინააღმდეგობაში არ არის მოქმედ კანონმდებლობასა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით გასაზღვრულ დებულებებთან. ამასთან, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია არასრულწლოვან პირებთან სწავლის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების სპეციფიკა, თუმცა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, „სპორტის ინსტრუქტორი“ არ ჩარიცხულა არასრულწლოვანი აპლიკანტი. პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობასთან, თუმცა ხელშეკრულების მეხუთე მუხლში - „კოლეჯი ვალდებულია“, 5. ა) პუნქტში მოცემულია ჩანაწერი - მოამზადოს ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მქონე სტუდენტი და გასცეს მასზე ლიცენზირებული პროფესიული დაწესებულების დიპლომი, აღნიშნული ჩანაწერი არ შეესაბამება პროფესიული განათლების სფეროს საკანონმდებლო ნორმებს, რის თაობაზეც ექსპერტთა ჯგუფის ბოლო ვიტისას გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და 2025 წლის იანვრის თვეში ყველა პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულია შეთანხმება ხელშეკრულების მე-5 მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე. შეთანხმებაში მოცემული დებულებები არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სპორტის ინსტრუქტორი“ პროფესიული სტუდენტები ჩაირიცხნენ 2024 წლის ნოემბრის თვეში. კოლეჯში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შესაბამისად აღდგენის ფაქტი არ ყოფილა, არც მობილობა განხორციელებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

შესაბამისად ინდივიდუალურ სასწავლო გეგმების შემუშავების საჭიროება არ დამდგარა. დაწესებულებაში არსებული პრაქტიკის შესწავლის მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა დასვა კითხვები დაწესებულებას სხვა, ადრე მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ხომ არ შეუმუშავებია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ აღნიშნულის საჭიროება არ დამდგარა.

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“, რომელიც არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, სსსმ სტუდენტებისთვის მოდულის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წარმოებისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების უზრუნველყოფის საკითხებს. აღნიშნული დებულებები არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები და ჩარიცხვის წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 2024წ. 17.06 N03-07 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შესარჩევი სპორტული ტურის დებულებით“;
3. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 20 ნოემბრის N01-14 ბრძანება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - სპორტის ინსტრუქტორი, პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ;
4. კოლეჯის დირექტორის 2020 წ. 26.06. N03-09 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“;
5. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
6. დაწესებულების დირექტორის 18.04.2023 No 03-06 ბრძანებით დამტკიცებული „ფორმალური განათლების აღიარების წესი“;
7. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის № 03-06 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“;
8. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 19 აგვისტოს N03-22 ბრძანებით დამტკიცებული „ეთიკის კოდექსი“;
9. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“;
10. პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და შეთანხმებები ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
11. პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი;
12. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაცია;
13. პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

დაწესებულების ადმინისტრაცია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში, პროფესიულ სტუდენტებთან უწყვეტი კომუნიკაციის გზით უწევენ მათ შესაბამის კონსულტირებას და უზრუნველყოფენ მათ ადაპტაციას ახალ გარემოში. პროფესიულ სტუდენტებს სწავლის შედეგების მიღწევების შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტირებას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს კოლეჯის პერსონალის მხარდაჭერა და ხელშეწყობა. პროფესიული სტუდენტები და კოლეჯის წარმომადგენლები კომუნიკაციისთვის იყენებენ სოციალური ქსელის ჯგუფს. კოლეჯის პერსონალმა აღნიშნა, რომ ისინი ყოველთვის გამოხატავენ მზაობას დაეხმარონ პროფესიულ სტუდენტებს. კოლეჯში მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, სადაც უფლებამოსილნი არიან დააფიქსირონ საკუთარი აზრი. ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ მოეწოდებათ ყველა სახის ინფორმაცია, თუმცა ისურვეს, ქვეყანაში დაგეგმილი სპორტული აქტივობების შესახებ წინასწარ ჰქონდეთ ინფორმაცია, რადგან მათი პროფესიული განვითარებისთვის შეჯიბრებებზე დასწრება კარგი შესაძლებლობაა, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან კოლეჯი თანამშრომლობს ფედერაციასთან, ამ მიმართულებით კომუნიკაციის გაძლიერება შექმნის პროფესიულ სტუდენტთა, როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობას, ისე ხელს შეუწყობს მათი მოტივაციის ამაღლებას. ასევე, აღნიშნულ იქნა საცურაო კომპლექს არენასთან თანამშრომლობისას საცურაო ბილიკის არასაკმარისობა, რადგან სხვა ბილიკები დატვირთულია მომხმარებლებით, რომელთა რაოდენობა კომპლექსში საკმაოდ მაღალია. კომპლექსში განაწილებულია 4 ჯგუფი სხვადასხვა დღეს დღეში 2 ნაკადი 1,5 საათიანი მეცადინეობით.

ქ. ქუთაისში პროფესიული სტუდენტები გამოთქვამდნენ კმაყოფილებას. მათთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ ისინი გამოხატავენ უსაზღვრო კმაყოფილებას სწავლების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების, კოლეჯის მხარდაჭერის და კოლეჯის რესურსების ხელმისაწვდომობის მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

ზემოაღნიშნული მხარდაჭერის მექანიზმები დაწესებულებას გაწერილი აქვს შემდეგ მარეგულირებელ აქტებში:

1. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები და ჩარიცხვის წესში“;
2. დაწესებულების დირექტორის 2024წ. 17.06 N03-07 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შესარჩევი სპორტული ტურის დებულებაში“;
3. კოლეჯის დირექტორის 2020 წ. 26.06. N03-09 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესში“;
4. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“;
5. დაწესებულების დირექტორის 18.04.2023 N03-06 ბრძანებით დამტკიცებულ „ფორმალური განათლების აღიარების წესში“;
6. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულ „შინაგანაწესში“;
7. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 19 აგვისტოს N03-22 ბრძანებით დამტკიცებულ „ეთიკის კოდექსში“;
8. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულ „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესში“;
9. დირექტორის 18.04.2023 N03-06 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესში“;
10. დირექტორის 2020 წლის 26. 06 N03-09 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის,კონსულტაციის გაწევის წესში“;
11. დირექტორის 2020 წლის 23.06. N03-08 ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალური რესურსის, მასალა-ნედლეულის შესყიდვის, გამოყენების, შენახვისა და განკარგვის, ასევე, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესებში.“

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ადმინისტრაციულ საჭირობებზე ქ. თბილისში მიმართავენ სასწავლო პროცესის მენეჯერს. ხოლო ქ. ქუთაისში სასწავლო პროცესის კოორდინატორს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტი დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, *თუმცა რეკომენდებულია 1. დაწესებულებამ გააქტიუროს კომუნიკაცია სპორტის ფედერაციასთან პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებისა და მხარდაჭერის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობას, ისე ხელს შეუწყობს მათი მოტივაციის ამაღლებას; 2. დაწესებულებამ უზრუნველყოს საცურაო მიმართულებით პრაქტიკული კომპონენტის გავლის შესაძლებლობის გაზრდა ახალი ობიექტის მოძიებით, ან არსებულის სარგებლობის გაზრდით.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

დაწესებულებაში სასწავლო პროცესის დაწყებისას, კოლეჯის ადმინისტრაცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებლები ხვდებიან ახლად ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს და აცნობენ მათ კოლეჯის შიდა მარეგულირებელ აქტებს, ქცევის ნორმებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თავისებურებებს, კოლეჯის მისიას, ხედვას და სხვ. პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა განაწილებისას, განემარტებათ პრაქტიკის ობიექტზე ქცევისა და უსაფრთხოების წესები და სხვ. აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია პროფესიული სტუდენტების მიერ ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის N03-09 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესის“ მიხედვით, კოლეჯში მატერიალურად შემოსული კორესპონდენცია შემოსვლის დღეს ელექტრონულად იტვირთება და რეგისტრირდება eflow-ქსელში. დაწესებულების საქმისწარმოების წესის მე-7-მე-10 მუხლის შესაბამისად, გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ვადები. კოლეჯის მიერ დოკუმენტების/კორესპოდენციაზე პასუხების გაცემის პრაქტიკის შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი გაესაურა კოლეჯის საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირს, შემოწმდა საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული დოკუმენტები.

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე - 18 მუხლი არეგულირებს პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის დიპლომის/სერტიფიკატის გაცემის წესს, რომელიც არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 23 ივნისის N03-08 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის დებულება“, რომლის თანახმად, ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის და თანამშრომლებისთვის კოლეჯში პერიოდულად ტარდება სხვადასხვა ინფორმაციული შეხვედრები, რომელსაც ორგანიზებას უკეთებს ადამიანური რესურსებისა და საზოგადოებასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

ურთიერთობის მართვის მენეჯერი. ამავე დებულების მე-6 მუხლით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის N 03-09 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის, კონსულტაციის გაწევის წესი და კურსდამთავრებულთა ბაზების მართვის მექანიზმები“, რომელშიც შესრულია ცვლილებები კოლეჯის დირექტორის ბრძანებებით (18.02.2025წ. N 03-16; 18.04.2025წ. No 03-24) რომელიც მე-9 მუხლი არეგულირებს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმებს, რის მიხედვითად სპორტის კოლეჯი ღიაა სტუდენტური ინიციატივების მხარდასაჭერად, სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფური ინიციატივის შემთხვევაში, ინიციატორმა განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს განცხადებით. განცხადებაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი ინიციატივის შინაარსი და მიზანი. განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, დირექტორი, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავს აღნიშნულ წინადადებას. დადებითი/უარყოფითი გადაწყვეტილება ეცნობება საინიციატივო ჯგუფს ან ინიციატივის ავტორს.

საანგარიშო პერიოდში დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივითა და დაწესებულების მხარდაჭერით კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა სპორტულ ფესტივალზე მინი ფეხბურთსა და სტუდფესტი 2025-ში.

პროფესიულმა სტუდენტებმა ინტერვიუერებისას აღინიშნეს, რომ კმაყოფილნი არიან ახალი სასწავლო ფართით და პირობებით, ყველა აუდიტორია აღჭურვილია გაგრილებისა და გათბობის უწყვეტი სისტემით, დამონტაჟებულია კონდიციონერები და ცენტრალური გათბობის სისტემა. ადმინისტრაცია ხელს უწყობთ სასწავლო პროცესში, მათი დიდი ნაწილი დასაქმებულია და კოლეჯის ხელშეწყობა მათთვის მნიშვნელოვანია. პროფესიული განათლების მასწავლებლები პროფესიულ სტუდენტებს სტიმულს აძლევენ, დაუღალავად ცდილობენ მათ დახმარებას, რაც მათთვის მნიშვნელოვანია და სხვა საჭიროება არ აქვთ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N03-07 ბრძანებით, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი. პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა ტარდება წელიწადში ორჯერ, შუალედური გამოცდების დაწყებამდე ან/და პროგრამის 50%-ის გავლის შემდგომ და პროგრამის დასრულებამდე 1 თვით ადრე; გამოკითხვის მიზანია ადრესატთა კმაყოფილების დადგენა, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა შემდგომი რეაგირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებისათვის. პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კვლევის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

კითხვარის მიხედვით კვლევის ასპექტებია: პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების გარემოება, მატერიალურ - ტექნიკური ბაზით კმაყოფილების, სასწავლო პროცესის საჭირო მასალით ან/და ნედლეულით ხელმისწავდომობის, ადმინისტრაციული მხარდაჭერის, ეთიკური და სამართლიანი დამოკიდებულების შესახებ კვლევა. საანგარიშო პერიოდში (2025 წლის ივნისი) ჩატარებული იყო პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, თუმცა მონაცემები არ იყო დამუშავებული.

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ სურვილებს კოლეჯი ითვალისწინებს და რეაგირებს სათანადოდ, თუმცა მიმდინარე ეტაპისთვის რაიმე განსაკუთრებული საჭიროება არ ყოფილა, გარდა ზემოთ აღნიშნული გარემოებისა, რაც უკვე აღწერილია 3.2.1 ინდიკატორის აღწერისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები და ჩარიცხვის წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 2024წ. 17.06 N03-07 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შესარჩევი სპორტული ტურის დებულება“;
3. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 20 ნოემბრის N01-14 ბრძანება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - სპორტის ინსტრუქტორი, პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ;
4. კოლეჯის დირექტორის 2020 წ. 26.06. N03-09 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“;
5. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
6. დაწესებულების დირექტორის 18.04.2023 N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „ფორმალური განათლების აღიარების წესი“;
7. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“;
8. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 19 აგვისტოს N03-22 ბრძანებით დამტკიცებული „ეთიკის კოდექსი“;
9. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“;
10. დირექტორის 18.04.2023 N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“;
11. დირექტორის 2020 წლის 26. 06 N03-09 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის,კონსულტაციის გაწევის წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

12. დირექტორის 2020 წლის 23.06. N03-08 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალური რესურსის, მასალა-ნედლეულის შესყიდვის, გამოყენების, შენახვისა და განკარგვის, ასევე, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები.“
13. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 23.06. N03-08 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის დებულება“;
14. პროფესიულ სტუდენტთა მიერ კმაყოფილების კვლევის შედეგები;
15. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის N03-09 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის, კონსულტაციის გაწევის წესი“, რომელიც არეგულირებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისებს, სამიზნე აუდიტორიასა და სერვისების მიწოდების მექანიზმებს. პროფორიენტაციასა და კონსულტირებას დაწესებულებაში ახორციელებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ადმინისტრაციის სხვა წარმომდგენლებთან ერთად (საჭიროებისამებრ). დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კოლეჯის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ანგარიში, სადაც წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების აღწერა, მათ შორის - ვაკანსიების შესახებ ინფრომაციის მოძიება და პროფესიულ სტუდენტთათვის გაზიარება, პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერა. აღნიშნული დადასტურებულია პროფესიული სტუდენტების მიერ. თუმცა, რეკომენდებულია კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ვაკანსიების გაზიარებით და დაწესებულებამ გაზარდოს კარიერული მხარდაჭერის სერვისები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.1 დაკმაყოფილებულია, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული პროფესიული სტუდენტებისთვის, *თუმცა, რეკომენდებულია კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ვაკანსიების გაზიარებით და დაწესებულებამ გაზარდოს კარიერული მხარდაჭერის სერვისები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის N03-09 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის, კონსულტაციის გაწევის წესი“, რომელიც არეგულირებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისებს, სამიზნე აუდიტორიასა და სერვისების მიწოდების მექანიზმებს. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერმა ინტერვიურებისას განაცხადა, რომ ის აქტიურად თანამშრომლობს დაწესებულების პარტნიორ ორგანიზაციებთან და მათი მომართვის საფუძველზე არაერთ ვაკანსიას უზრიარებს პროფესიულ სტუდენტებს. აღსანიშნავია, რომ „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების დიდი ნაწილი უკვე დასაქმებულია.

მსგავსი ინფორმაცია კოლეჯის სტუდენტებს აგრეთვე მიეწოდებათ პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და კოლეჯის სხვა პერსონალის მიერ, რაც დადასტურებულ იქნა პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N03-07 ბრძანებით, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კითხვარი. გამოკითხვის მიზანია ადრესატთა კმაყოფილების დადგენა, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა შემდგომი რეაგირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებისათვის. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ტარდება წელიწადში ერთხელ, პროგრამის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ. ვინაიდან, კოლეჯს „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ ეტაპისთვის არ ჰყავს კურსდამთვრებული, საანგარიშო პერიოდში დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერმა ჩაატარა პროფესიულ სტუდენტთა კვლევა დასაქმებასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგების მიხედვით გამოვლინდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა 50% დასაქმებულია. აღნიშნული კვლევა ჩატარებულია ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის ბაზაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯს დარეგულირებული აქვს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით კვლევის პროცედურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“, სადაც განსაზღვრულია კურსდამთავრებულთა კითხვარი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დასაქმების სფეროს, დასაქმების თაობაზე ინფორმაციის მოძიების გზების, კოლეჯში მიღებული ცოდნის ტრანსფერს სამუშაო ადგილზე, დასაქმების პროცესში შემაფერხებელი გარემოების არსებობის შესახებ. ვინაიდან, კოლეჯს ამ ეტაპისთვის არ ჰყავს კურსდამთვრებული, კურსდამთავრებულთა კვლევა განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.4 დაკმაყოფილებულია, კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის N03-09 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის, კონსულტაციის გაწევის წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 18.04.2023 N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“;
3. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კითხვარები;
4. პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების თაობაზე ჩატარებული კვლევის შედეგები;
5. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ანგარიში;
6. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

დაწესებულების <u>მართვის ორგანოებია</u> სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი. კოლეჯის <u>საშტატო ერთეულებია:</u> დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ხარისხის მართვის მენეჯერი; სასწავლო პროცესის მენეჯერი (2 საშტატო ერთეული); სასწავლო პროცესის კოორდინატორი (3 საშტატო ერთეული); პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი; ადამიანური რესურსებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი; იურისტი; მთავარი ბუღალტერი; საქმისმწარმოებელი; მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი; შესყიდვების სპეციალისტი; უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტი (თბილისი); ბიბლიოთეკარი/არქივარიუსი; ქსელის ადმინისტრატორი (ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი). შომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები/დამხმარე პერსონალი: დაცვის თანამშრომელი (2 ერთეული); მედდა (შეთავსებით) (2 ერთეული); დამხმარე თანამშრომელი; დამლაგებელი (3 ერთეული); უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტი (ქ. ქუთაისი); პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

კოლეჯის სტრუქტურა დამტკიცებულია 2025 წლის 18 თებერვლის N03-12 ბრძანებით. კოლეჯის დირექტორს ჰყავს მოადგილე. დაწესებულებაში დაქვემდებარების სისტემა დელეგირებულია დირექტორსა და მის მოადგილეს შორის, რაც ხელს უწყობს დაწესებულების ეფექტურ ფუნქციონირებას. დირექტორის მოადგილეს ექვემდებარება მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტები (ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი), ქსელის ადმინისტრატორი (ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი), დაცვის თანამშრომელი, დამლაგებელი (ქ. თბილისი)(ქ. ქუთაისი), დამხმარე თანამშრომელი, ხოლო დანარჩენი საშტატო ერთეულები ექვემდებარება დირექტორს.

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და სამუშაო აღწერილობები“, სადაც გაწერილია სამუშაო აღწერილობა, ფუნქციები და მოვალეობები, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2025 წლის 18 თებერვლის N 03-12 ბრძანებით. ცვლილება განპირობებულია დაწესებულებაში ცალკეული საშტატო ერთეულების დამატებითა და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების დაზუსტებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პერსონალთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენებით დადგინდა, რომ კოლეჯის პერსონალი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და სამუშაო აღწერილობები“, სადაც გაწერილია სამუშაო აღწერილობა, ფუნქციები და მოვალეობები, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2025 წლის 18 თებერვლის N 03-12 ბრძანებით. ცვლილება შეეხო დაწესებულებაში ცალკეული საშტატო ერთეულების დამატებას და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების დაზუსტებას, რაც განპირობებულია დაწესებულებაში ექსპერტთა ბოლო ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულებით.

საშტატო ერთეულისათვის განსაზღვრული სამუშაოს აღწერილობების მიხედვით პერსონალის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

დაწესებულების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, რომელთა გადანაწილება არ მოდის წინააღმდეგობაში დაწესებულებაში პერსონალისათვის დელეგირებულ ფუნქციებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დაწესებულებაში განხორციელებულია შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზია, გამოცემულია შესაბამისი ბრძანებები მეთოდოლოგიურ დოკუმენტებში ცვლილებების განხორციელების თაობაზე, რითაც გათვალისწინებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პერსონალისათვის დელეგირებული ფუნქცია-მოვალეობები გამორიცხავს კოლეჯში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის პერსონალის ფუნქციების ინტერესთა კონფლიქტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის წლიური სამოქმედო გეგმა, სადაც მოცემული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. სამოქმედო გეგმაში მოცემული აქტივობების საკმარისობა და ეფექტიანობა შეფასებულია მეორე და მეხუთე სტანდარტის აღწერაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის №03-06 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და სამუშაო აღწერილობები“;
2. დაწესებულების სტრუქტურა;
3. დაწესებულების სტრატეგიული გეგმა 2020-2026წწ;
4. ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმა 2024-2026 წ.;
5. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია “შინაგანაწესი”, რომელიც არეგულირებს მხარეთა ძირითად უფლებებსა და ვალდებულებებს, შრომის განაწესს, დისციპლინური პასუხისმგებლობის წესსა და წახალისების მექანიზმებს. დაწესებულებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

ექსპერტთა ბოლო ვიზიტისას გაცემული იყო რეკომენდაცია პერსონალის შვებულებით სარგებლობის მექანიზმების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით, რაც დაწესებულებამ გაითვალისწინა და შინაგაწესში შეიტანა ცვლილებები კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 2025 წლის 17 თებერვლის N 03-11 ბრძანებით.

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის N03-03 ბრძანებით დამტკიცებულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, სადაც განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და ამოცანები, მიდგომები კოლეჯის ადამიანური რესურსის შერჩევისას და შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 19 აგვისტოს N03-22 ბრძანებით დამტკიცებულია „ეთიკის კოდექსი“, რომელიც ასევე არეგულირებს დაწესებულებაში პერსონალის ქცევის ნორმებს.

დაწესებულებას პერსონალთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს არსებით პირობებს, მათ შორის განსაზღვრულია ზეგანაკვეთურად მუშაობის ანაზღაურების საკითხები, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით

კოლეჯის ვებ-გვერდზე, ფეისბუქ გვერდზე, და hr.gov.ge-ზე ქვეყნდება ვაკანტური თანამდებობის შესახებ ინფორმაცია, სადაც მიეთითება ვაკანსიის დასახელება, პოზიციის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტაცია და შერჩევის პირობები. ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის მიღება ხორციელდება წერილობითი განცხადებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე. კანდიდატის შერჩევის მიზნით ტარდება გასაუბრება (ინტერვიუ), რომელსაც უძღვება დირექტორის მიერ დამტკიცებული საკონკურსო კომისია. ინტერვიუზე ხდება იმ ინფორმაციის მაქსიმალურად მიღება, რაც მნიშვნელოვანია არსებული ვაკანტური თანამდებობისთვის კანდიდატის შესარჩევად. შესარჩევი კომისია შედგება შემდეგი წევრებისაგან: კოლეჯის დირექტორი, ადამიანური რესურსების მენეჯერი, იურისტი. კანდიდატთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დგინდება კანდიდატის კვალიფიკაციის შესაბამისობა დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან. ფორს-მაჟორული სიტუაციის დროს, ვაკანსიის გამოცხადების შესახებ არ არის სავალდებულო და გამონაკლისის სახით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

დასაშვებია ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღება კონკურსის გამოცხადების გარეშე. ანალოგიური მექანიზმებია გაწერილი პროფესიული განათლების მასწავლებლების შემთხვევაშიც.

ზემოაღნიშნული დარეგულირებულია დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის N03-03 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით“ და დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის შერჩევისა და სამსახურში მიღების, ასევე საკვალიფიკაციო მოთხოვნების ერთიანი წესით“. დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ბოლო ვიზიტისას გაცემული იყო რეკომენდაცია დაწესებულებაში პერსონალის აყვანასთან და საკონკურსო წარმოებასთან დაკავშირებული პროცესების დოკუმენტირების შესახებ. დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და 2025 წლის 18 თებერვლის №03-12 ბრძანებით ცვლილებების განახორციელა პერსონალის შერჩევის წესში და დააზუსტა შერჩევის კრიტერიუმები და შეიმუშავა გასაუბრების კითხვარი. ზემოაღნიშნული მექანიზმები დაწესებულებას პრაქტიკაში ჯერ არ განუხორციელებია.

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის შერჩევისა და სამსახურში მიღების, ასევე საკვალიფიკაციო მოთხოვნების ერთიანი წესით“ განსაზღვრულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის (რომელიც დაწესებულებაში მოხსენიებულია როგორც უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტი, ამასთან დაწესებულებას უსაფრთხოების სამსახური არ აქვს) საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ ამ პოზიციისთვის მოთხოვნილია უმაღლესი განათლება, სახელმწიფო ენის სრულყოფილად ცოდნა, კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების ცოდნა, აღნიშნულ სფეროში მუშაობის გამოცდილება. საქართველოს ორგანული კანონის - შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, მოცემულ პოზიციაზე სავალდებულოდაა მოთხოვნილი სერტიფიცირება კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ დააზუსტოს პოზიციის დასახელება და მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ეხება შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების შესრულებაზე პასუხისმგებელ საშტატო ერთეულს.

დაწესებულებაში დაცულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და უზრუნველყოფილია შემდეგი დოკუმენტების არსებობა პერსონალის პირად საქმეში: თავდაცვის კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N 463 დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი მუხლის ზ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

თუმცა, რეკომენდებულია დაწესებულებამ დააზუსტოს პოზიციის დასახელება და მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ეხება შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების შესრულებაზე პასუხისმგებელ საშტატო ერთეულს.

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად გადამოწმდა კოლეჯის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები, როგორც ქ. თბილისის, ისე ქ. ქუთაისის ლოკაციაზე. პერსონალის კვალიფიკაცია, ცოდნა-უნარები და გამოცდილება შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ თითოეული საშტატო ერთეულისათვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს დაწესებულების ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დაწესებულებაში ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება - კოლეჯის სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობით და პერსონალთან ინტერვიურებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის N03-03 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“;
3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 19 აგვისტოს N03-22 ბრძანებით დამტკიცებული „ეთიკის კოდექსი“;
4. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის შერჩევისა და სამსახურში მიღების, ასევე საკვალიფიკაციო მოთხოვნების ერთიანი წესი“;
5. დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები;
6. დაწესებულების პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
7. დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა;
8. დაწესებულების დირექტორის ბრძანებებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა;
9. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას

დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 23 ივლისის N03-09 ბრძანებით დამტკიცებულია "ადმინისტრაციის თანამშრომელთა, დამხმარე და მომსახურე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი", რის მიხედვითაც ყოველი წლის ბოლოს (დეკემბრის მეორე კვირას) ხორციელდება ადმინისტრაციის თანამშრომელთა, დამხმარე და მომსახურე პერსონალის საქმიანობის შეფასება. შეფასების საბოლოო შედეგები ცნობილია დეკემბრის მე-3 კვირის ბოლოს. ადმინისტრაციის თანამშრომელთა, დამხმარე და მომსახურე პერსონალის საქმიანობის შეფასების ადმინისტრირებას ახორციელებს კოლეჯის ადამიანური რესურსებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. კოლეჯის ადამიანური რესურსებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი შესაბამის პირებს ელექტრონულად ან ხელზე (ამობეჭდილი სახით) აწვდის შეფასების ფორმას. ფორმის შევსების ვადა განისაზღვრება 2 სამუშაო დღით. ადამიანური რესურსებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი აჯამებს მოპოვებულ ინფორმაციას და მიღებულ შედეგებს აცნობს კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლებს, დამხმარე და მომსახურე პერსონალს.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პერსონალის შეფასების ფორმები, რომელიც განთავსებული იყო პერსონალის პირად საქმეში და ასევე ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოდგენილი პერსონალის შეფასების შედეგების ანგარიში. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს, რომელთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ საუკეთესო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

შეფასებების მქონე თანამშრომლებს მან სიტყვერი მადლობა გამოუცხადა, რაც ასევე დასტურდება წარმოდგენილი ანგარიშით. თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ანგარიშში წარმოდგენილია თანამშრომელთა შეფასების შედეგები და შეფასების მაღალი შედეგების მქონე თანმშრომელთა მოტივირების მექანიზმები. ამ ეტაპზე კოლეჯს არ ყავს სამუშაოს არასათანადოდ შემსრულებელი, რის გამოც არ გატარებულა სათანადო დისციპლინური ღონისძიებები. თანამშრომელთა შეფასების ანგარიშსა და თანამშრომელთა შეფასების ფორმებში არ არის წარმოდგენილი მათი განვითარების კრიტიკული საჭიროებები.

ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ მათ მუდმივი კომუნიკაცია აქვთ ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან, განვითარების საჭიროებებზე. აღნიშნული საჭიროებები ასახულია ადამიანური რესურსებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმაში დეტალურად, პოზიციების მიხედვით.

2025 წელს დაწესებულებამ ჩაატარა "ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და დამხმარე პერსონალის საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევა". კვლევის ანალიზის მიხედვით, გამოკითხულთა 69,6% თვლის, რომ აქვს პროფესიული ზრდისა და წინსვლის შესაძლებლობები, 65,2% კმაყოფილია დაწესებულების მიერ შემოთავაზებული ტრენინგისა და განვითარების პროგრამებით და თვლის, რომ იღებს მხარდაჭერას შემდგომი განათლების ან კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. კითხვარი არ იძლევა შესაძლებლობას, გამოვლინდეს პერსონალის განვითარების სპეციფიური საჭიროებები და განვითარების საჭიროებებთან დაკავშირებული ან სხვა საკითხებზე უკმაყოფილებების მიზეზები, რაც შესაძლებელია ღია კითხვების დამატების გზით იქნეს გამოვლენილი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას, *თუმცა რეკომენდებულია: 1. დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა პერსონალის შეფასების შედეგების ანგარიშში წარმოადგინოს გასაუმჯობესებელი ასპექტები; 2. დაწესებულებამ შემუშავებულ "ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და დამხმარე პერსონალის საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევის" კითხვარში დაამატოს კითხვები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს დაწესებულებას დააიდენტიფიციროს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებები ან/და ცალკეულ საკითხებზე უკმაყოფილებების მიზეზები, რაც შესაძლებელია ღია კითხვების დამატების გზით იქნეს გამოვლენილი; 3. დაწესებულებამ გარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდისა, ჩაატაროს ხარისხობრივი კვლევის მეთოდები, მაგალითად როგორიცაა ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრები ან ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები, რომელიც დაწესებულებას მისცემს საშუალებას უფრო სიღრმისეულად გაანალიზოს პერსონალის განვითარების კუთხით არსებული გამოწვევები და საჭიროებები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით
დაწესებულებამ წარმოადგინა ადამიანური რესურსებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის 2024-2025 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმა, სადაც წარმოდგენილია პერსონალის განვითარების კონკრეტული აქტივობების გეგმა-გრაფიკი, კერძოდ საანგარიშო პერიოდში განსაზღვრულია 1. ადმინისტრაციის დატრენინგება e-flow სისტემაში; 2. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის გადამზადება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, *თუმცა რეკომენდებულია პერსონალის გადამზადების ღონისძიებების გაზრდა, მათ შორის დაწესებულებაში ხარისხის კულტურის განვითარების, ინსტიტუციურ დონეზე PDCA პრონციპების დანერგვის, დროის ეფექტური მართვის, სამუშაო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების და სხვა მიმართულებით, რაც დაეხმარება პერსონალს სამუშაო პროცესების ოპტიმიზაციაში, მაღალი ხარისხით შესრულებასა და შესრულებული სამუშაოს ეფექტიანობის გაზრდაში.*

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით
დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესის“ თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება მოიცავს სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობის შეფასებას სხვადასხვა მხარის მიერ შესაბამისი კითხვარების გამოყენებით: ა) პროფესიული მასწავლებლის შეფასება ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ სასწავლო პროცესზე დასწრებისას; ბ) პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება პროფესიული სტუდენტის მიერ. დაწესებულებამ 2025 წლის ივნისში განახორციელა პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება პროფესიული სტუდენტის მიერ, შემუშავებული კითხვარის საფუძველზე. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ მათ უწყვეტი კომუნიკაცია აქვთ ხარისხის მართვის მენეჯერთან და ერთმანეთთან განვითარების საჭიროებებზე. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და ცოდნას ზრდასრულთა სწავლების და შეფასების მეთოდებზე. დაწესებულების ორივე ლოკაციაზე პროფესიული განათლების პედაგოგებისთვის ხარისხის მართვის მენეჯერმა 2024 წლის შემოდგომაზე ჩაატარა ტრენინგი მოდულური სწავლების მეთოდოლოგიისა და შეფასების ინსტრუმენტებზე, თუმცა პერსონალი კიდევ საჭიროებს მხარდაჭერას, სასწავლო პროცესში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით.

რეკომენდებულია დაწესებულებამ სისტემურად განახორციელოს პერსონალის განვითარების ღონისძიებები, მათ შორის მიზნობრივი გამოკითხვის ან ინტერვიურების გზით დააიდენტიფიციროს საჭიროებები, პერსონალის შეფასების მრავალმხრივი მეთოდის გამოყენებით განსაზღვროს გასაუმჯობესებელი მხარეები, ხოლო სისტემაში არსებული სიახლეების, ტენდენციებისა და განვითარების მიმართულების მიხედვით ორგანიზებულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

დაგეგმოს და განახორციელოს პერსონალის უწყვეტი განვითარების აქტივობები, პერიოდულად მიიღოს პერსონალის უკუკავშირი ჩატარებული ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების და სხვა სახის ღონისძიებების შედეგების თაობაზე და დააკვირდეს პროცესების გაუმჯობესების მიმდინარეობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით, *თუმცა, რეკომენდებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების ღონისძიებები ასევე ეფუძნებოდეს მათი საჭიროების კვლევის შედეგებს, მიზნობრივი გამოკითხვის ან ინტერვიურების გზით დაიდენტიფიციროს საჭიროებები, პერსონალის შეფასების მრავალმხრივი მეთოდის გამოყენებით განსაზღვროს გასაუმჯობესებელი მხარეები, ხოლო სისტემაში არსებული სიახლეების, ტენდენციებისა და განვითარების მიმართულების მიხედვით ორგანიზებულად დაგეგმოს და განახორციელოს პერსონალის უწყვეტი განვითარების აქტივობები, პერიოდულად მიიღოს პერსონალის უკუკავშირი ჩატარებული ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების და სხვა სახის ღონისძიებების შედეგების თაობაზე და დააკვირდეს პროცესების გაუმჯობესების მიმდინარეობას.*

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის N03-03 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ მე-6 მუხლი არეგულირებს კოლეჯში ახალი პერსონალის სოციალიზაციის საკითხებს. აღნიშნული მექანიზმები კოლეჯში დარეგულირდა ექსპერტთა ბოლო ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე. რეგულაციის თანახმად, კოლეჯში ახალი თანამშრომლის ადაპტაციას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს ადამიანური რესურსების მართვის და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპებია: მოლოდინები - მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი და შთაბეჭდილება კოლეჯის შესახებ;. შეხვედრა - კოლეჯში მუშაობის პირველი სამი თვე, ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდი; „ოჯახის წევრობა“ - კოლეჯის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა. იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, კოლეჯი ეხმარება მას გაეცნოს დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდისათვის გასაუბრება შედგა სასწავლო პროცესის მენეჯერთან, რომელიც ახალი დასაქმებულია კოლეჯში. გასაუბრებისას მან დეტალურად ისაუბრა კოლეჯში არსებულ მხარდაჭერის აქტივობებზე და გამოხატა კმაყოფილება დაწესებულების პერსონალის მიმართ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის N03-03 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ მე-7 მუხლი არეგულირებს პერსონალის ინიციატივების ადმინისტრირების საკითხებს. ინიციატივის არსებობის შემთხვევაში, ინიციატორმა უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს განცხადებით. განცხადებაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი თხოვნის მიზანი. კოლეჯის დირექტორი, კოლეჯის ადმინისრაციის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავს აღნიშნულ წინადადებას. გადაწყვეტილება (დადებითი ან უარყოფითი) ინიციატორს ეცნობება 5 სამუშაო დღის ვადაში წერილობით ან ზეპირსიტყვიერად.

პერსონალთან ინტერვიურებისას ზემოაღნიშნულის დასტურად დასახელებულ იქნა იურისტის გადამზადება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებში, ბიბლიოთეკარის გადამზადება საარქივო საქმიანობაში, ქ. ქუთაისის ბაზაზე სასწავლო პროცესის კოორდინატორის გადამზადება საბიბლიოთეკო საქმეში, პერსონალის ინიციატივა სპორტულ ტურში პროფესიული სტუდენტების მონაწილეობის შესახებ და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 23.07 N03-09 ბრძანებით დამტკიცებული “ადმინისტრაციის თანამშრომელთა, დამხმარე და მომსახურე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი”;
2. დაწესებულების 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა;
3. დაწესებულების დირექტორის 18.04.2023 N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“;
4. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 15.06 N03-03 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“;
5. დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები;
6. ადმინისტრაციის თანამშრომელთა, დახმარე და მომსახურე პერსონალის საქმიანობის შეფასების ანგარიში. 30.01.2025;
7. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით

დაწესებულება ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. N55-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მესამე სართულზე სარგებლობის უფლებით ფლობს 599,11 m^2 ფართს. იჯარის ხელშეკრულება დადებულია 2025 წლის 02 აპრილს და სარგებლობის ვადად განსაზღვრულია 6 წელი. ხელშეკრულება რეგისტრირებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

საჯარო რეესტრში. დაწესებულება იგივე შენობის მეორე სართულზე ფლობდა სასწავლო ფართს, თუმცა 2025 წლის 02 აპრილიდან გადავიდა იმავე შენობის მესამე სართულზე. ინფრასტრუქტურა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და ინტერიერი აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

კოლეჯში მოწყობილია შემდეგი სახის სივრცეები:

1. თეორიული სწავლების აუდიტორია/ები;
2. კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია;
3. ადმინისტრაციული სივრცე;
4. სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის;
5. სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის;
6. სანიტარიული კვანძი/ები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის;
7. ბიბლიოთეკა/სამკითხველო დარბაზი.

დაწესებულება ქ. ქუთაისში, გაპონოვის ქ. N11-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მესამე სართულზე სარგებლობის უფლებით ფლობს 477,97 $მ^2$ ფართს. იჯარის ხელშეკრულება დადებულია 2021 წლის 01 აპრილს და სარგებლობის ვადად განსაზღვრულია 6 წელი. ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

კოლეჯში მოწყობილია შემდეგი სახის სივრცეები:

1. თეორიული სწავლების აუდიტორია/ები;
2. კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია;
3. ადმინისტრაციული სივრცე;
4. სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის;
5. სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის;
6. სანიტარიული კვანძი/ები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის;
7. ბიბლიოთეკა/სამკითხველო დარბაზი.

ორივე ლოკაციაზე დაწესებულების სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, უძრავი და მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალები.

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 23.06. N03-08 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალური რესურსის, მასალა-ნედლეულის შესყიდვის, გამოყენების, შენახვისა და განკარგვის, ასევე, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua _____

_____

განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები“, რის მიხედვითაც განსაზღვრულია კოლეჯის სასწავლო მასალით უზრუნველყოფის, მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის, საკანცელარიო საქონლითა და სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფის პროცედურები, თუმცა განსაზღვრული არ არის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასების პროცედურები. კოლეჯის სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვას, შენახვას და გამოყენების პროცესის მართვას ახორციელებს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, ხოლო მასალა-ნედლეულისა და ინვენტარის შესყიდვას ახორციელებს შესყიდვების სპეციალისტი. კოლეჯის მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ. ვინაიდან კოლეჯმა საანგარიშო პერიოდში შეცვალა ფართი (გადავიდა იგივე შენობის მესამე სართულზე), ფართი შეფასებული და მოწყობილია სასწავლო გარემოს შესაბამისად.

ქ. ქუთაისის ლოკაციაზე არსებული ლიფტი ავარიულ მდომარეობაშია. შესაბამისად, დაწესებულება აღარ გამოიყენებს ლიფტს და ყველა სართულზე დამონტაჟებული აქვს ასაკეცი პანდუსები, რითაც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილებას.

კოლეჯის პერსონალის ჩართულობით, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურა ორივე ლოკაციაზე, შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტები და გაესაუბრა უფლებამოსილ პირებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის

დაწესებულების პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსები მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. კოლეჯის პერსონალი და პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან ლექციებს შორის შესვენების პერიოდში დასვენებისთვის ისარგებლონ შენობაში არსებული სივრცით, თავისუფალი აუდიტორიით, სველი წერტილებით.

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 23 ივნისის N03-08 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალური რესურსის, მასალა-ნედლეულის შესყიდვის, გამოყენების, შენახვისა და განკარგვის, ასევე, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები“, რის მიხედვითაც განსაზღვრულია კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვის პროცედურა, მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

შორის გაწერილია ინვენტარისა და აღჭურვილობის საჭიროების იდენტიფიცირების მიდგომები და პროცესზე პასუხისმგებელი საშტატო ერთეულები, დარეგულირებულია კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის საკითხები.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის.

პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია "კოლეჯის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და სამუშაო აღწერილობები", რომლითაც განსაზღვრულია დაწესებულების ტერიტორიაზე, შიდა და გარე სივრცეების დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირი და მისი ფუნქცია-მოვალეობები. კოლეჯის ორივე ლოკაციაზე სისუფთავის და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების პირობების დაცვაზე პასუხისმგებელი პირია დამლაგებელი.

კოლეჯის ორივე ლოკაციის შესაბამის სივრცეებში განთავსებულია სადეზინფექციო ხსნარები, ხოლო სველი წერტილები აღჭურვილია ჰიგიენური საშუალებებით და აქვთ წყალმომარაგება, რაც დასტურდება ჰიგინური საშუალებების შესყიდვის დოკუმენტაციით და ექსპერტების მიერ შენობის დათვალიერების შედეგებით.

კოლეჯის ორივე ლოკაციაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა აგრეთვე დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით
დაწესებულების ორივე ლოკაციაზე არსებული ფართი აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით. ცენტრალური გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირების დასტურად წარმოდგენილია კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. კოლეჯში გათბობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

სისტემის არსებობა დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას. ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ყველა სასწავლო და სამუშაო სივრცე აღჭურვილია კონდიცირების სისტემით და უზრუნველყოფილია გაგრილების შესაძლებლობა, რასაც დადებითად აფასებენ კოლეჯის პროფესიული სტუდენტები და პერსონალი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.4 დაკმაყოფილებულია, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
დაწესებულების ქ. თბილისის ბაზაზე დასაქმებულ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს არ ჰქონდა კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამის გავლის ვადიანი სერტიფიკატი. დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, 2025 წლის 18 ივნისს შრომითი ხელშეკრულებით აიყვანა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლის კვალიფიკაცია და კომპეტენცია შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ქ. თბილისის ბაზაზე არასრულად ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. დაწესებულებაში არ ხორციელდება რისკების შეფასება. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პერსონალს გარკვეული პერიოდულობით უტარდება კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო ინსტრუქტაჟი, თუმცა ინსტრუქტაჟის ჟურნალში აღნიშნული ჩანაწერები არასრულად იყო წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ახლად აყვანილ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, რომელმაც დაადასტურა შესასრულებელი მოვალეობების განხორციელების კომპეტენცია და აღნიშნა, რომ უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული აქტივობის შესრულებას.

დაწესებულების დორექტორის 2025 წლის 18 თებერვლის N03-15 ბრძანებით დამტკიცებულია „**შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა**“ და „სამუშაო სივრცეში რისკების შეფასებისა და მართვის მეთოდოლოგია“.

ქ. ქუთაისის ბაზაზე დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოდგენილია რისკების მართვის სქემები, ნარჩენი რისკების მართვის მექანიზმები, ინსტრუქტაჟის შევსებული ჟურნალები და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები. *თუმცა, რეკომენდებულია ქ. თბილისის ბაზაზე დაწესებულებამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული პროცედურების პრაქტიკაში განხორციელება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 23 ივნისის N03-08 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალური რესურსის, მასალა-ნედლეულის შესყიდვის, გამოყენების, შენახვისა და განკარგვის, ასევე, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები“, რომელიც ადგენს პროგრამის განხორციელებისათვის, სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფისა და მათ შენახვა-გამოყენების წესებს. კოლეჯში სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის შესყიდვაზე პასუხისმგებელი პირია შესყიდვების სპეციალისტი, რომელიც დირექტორთან შეთანხმებით უზრუნველყოფს აღნიშნული პროცედურის განხორციელებას.

კოლეჯში სასწავლო პროცესი საჭირო მასალებითა და ნედლულით შეუფერხებლად არის უზრუნველყოფილი და დანერგილი სისტემა ეფექტურად მოქმედებს, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის მასალა-ნედლეულის მოთხოვნის, შეყიდვისა და მიწოდების დოკუმენტები და პროფესიულ სტუდენტებთან და მოდულის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „კვლევის წარმოების მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს დაწესებულების ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის, პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, დამსაქმებელთა კვლევების ჩატარების მეთოდოლოგიას. პერსონალის კმაყოფილების კვლევის ასპექტებია: კოლეჯის ინფრასტრუქტურა; მატერიალურ ტექნიკური რესურსები; მართვის სტილი/პროცესებში ჩართულობა; საკადრო პოლიტიკა (ანაზღაურება, წახალისების მექანიზმები, პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა); სამუშაოთი ზოგადი კმაყოფილება. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ასპექტებია: კოლეჯის ინფრასტრუქტურა; მატერიალურ ტექნიკური რესურსები; საბიბლიოთეკო რესურსები; მართვის სტილი; სასწავლო პროცესის ორგანიზება; კოლეჯში მიმდინარე პროცესებში ჩართულობა; კარიერული და პროფესიული დასაქმების ხელშეწყობა; სპორტული, შემოქმედებითი და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა და სხვ.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წამოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის შევსებული კითხვარები, თუმცა ანგარიში და გაუმჯობესების რეკომენდაციები არ არის წარმოდგენილი.

დაწესებულების მფლობელობაში არებული რესურსების ვიზუალური დათვალიერებითა და ფლობის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს ფაქტს, რომ კოლეჯს გააჩნია საკმარისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებაში სრულფასოვნად წარიმართოს ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები, იწარმოოს შესაბამისი ანგარიშგების პროცესი და გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებები.*

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის

ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში არსებულ ფართზე დაწესებულების მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, მოწესრიგებულია და უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ პირებისთვის.

თითოეულ სველ წერტილთან განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ხელსაშრობი დისპანსერი, ასევე ნარჩენების უკონტაქტო კალათა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, მოსასვენებელ სივრცესა და ბიბლიოთეკას აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. კოლეჯში ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის სივრცეში. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან გაიტანონ წიგნი ან ისარგებლონ კოლეჯის საბიბლიოთეკო სივრცით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.9 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას

ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში არსებულ ფართზე დაწესებულების შენობაში არის ფოიე. სასწავლო აუდიტორიები და სხვა სივრცეები დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან. ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები გადანაწილებულია ისე, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.10 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომელშიც გაწერილია საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და საბიბლიოთეკო რესურსებით პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები. ქ. თბილისის ბაზაზე კოლეჯში საბიბლიოთეკო მომსახურებას ახორციელებს ბიბლიოთეკარი, ხოლო ქ. ქუთაისის ბაზაზე აღნიშნული მოვალეობა შეთავსებული აქვს სასწავლო პროცესის კოორდინატორს, რომელსაც გავლილი აქვს საბიბლიოთეკო საქმის ტრენინგი.

დაწესებულებაში განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი, რეგისტრაციის წესები, მკითხველის ვალდებულებები საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, ხოლო სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის გარდა, კოლეჯის საბიბლიოთეკო სერვისი ასევე მოიცავს ასლის გადაღებას და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობას.

საგანმანათლებლო რესურსები არსებობს მატერიალური და ელექტრონული სახით. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და კოლეჯის წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ კოლეჯის საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ ინფორმაცია სისტემატიზებულია, საჭირო რესურსის მოძიება შესაძლებელია ეფექტურად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებები ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში;
2. შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზები;
3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
4. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 23.06. N03-08 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალური რესურსის, მასალა-ნედლეულის შესყიდვის, გამოყენების, შენახვისა და განკარგვის, ასევე, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები“;
5. დაწესებულების დირექტორის 18.04.2023 N03-06 ბრძანებით დამტკიცებული “კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და სამუშაო აღწერილობები“;
6. დაწესებულების დირექტორის 18.04.2023 N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „კვლევის წარმოების მეთოდოლოგია“;
7. დაწესებულების დირექტორის 18.04.2023 N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
8. მატერიალური რესურსების ინვენტარიზაციის მასალები;
9. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
ქ. თბილისის ბაზაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრის“ დასკვნა ქ. თბილისი, ნინოშვილის ქ. N55-ში არსებული შენობის მდგრადობის თაობაზე. რადგან დაწესებულებამ შეიცვალა ფართი (იგივე შენობის მეორე სართულიდან გადავიდა მესამე სართულზე) დაწესებულებას არ აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დადებითი დასკვნა ქ. თბილისის ბაზაზე არსებულ შენობაში სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. წარმოდგენილია უწყების 2025 წლის 18 ივნისის N MIA62501869640 წერილი, რის მიხედვითაც ირკვევა, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის N308 დადგენილებით გათვალისწინებული მომსახურეობების - შენობა-ნაგებობის, ან სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების, ასევე სისტემების გამოცდის შემდეგ, თუ ობიექტს დაუდგინდება ხარვეზი და ვერ მიიღებს დადებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

დასკვნას, არაუმეტეს 3 თვის ვადაში, ერთჯერადად, დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე შესაძლებელია შემოწმების განმეორებით ჩატარება და ხარვეზების აღმოფხვრის დადასტურების შემთხვევაში დადებითი დასკვნის გაცემა.

ქ. ქუთაისის ბაზაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შპს „კარიბჭეს“ მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნა ქ. ქუთაისი, გაპონოვის ქ. N11- ში არსებული შენობის მდგრადობის თაობაზე. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დადებითი დასკვნა ქ. ქუთაისის ბაზაზე არსებულ შენობაში სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ქ. თბილისის ფართში არ არის დაცული უსაფრთხოების ზომები. რადგან დაწესებულებამ შეიცვალა ფართი (იგივე შენობის მეორე სართულიდან გადავიდა მესამე სართულზე) დაწესებულებას არ აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დადებითი დასკვნა ქ. თბილისის ბაზაზე არსებულ შენობაში სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. თუმცა, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის №03-34 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N1) თანახმად, კოლეჯის ღონისძიებაა „სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო პროცედურებისა და აქტივობების განხორციელება“, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 5 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის ქ. თბილისის ბაზაზე არსებულ შენობაში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მოცემული დრო რელევანტურია, რადგან დაწესებულებაში მოცემული პროცესი ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწყებული იყო, შესაბამისი უწყებიდან მიღებული კორესპოდენციის მიხედვით, განსაზღვრული იყო კოლეჯის მიერ შესასრულებელი აქტივობები, რომელთა შესრულება კოლეჯმა ივნისის თვეში დაიწყო, ამიტომ, შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 5 თვეში დასრულებადია.

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

დაწესებულების ქ. თბილისის ბაზაზე მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 19 ივლისის N03-07 ბრძანებით დამტკიცებულია „უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესები“, რომელიც არეგულირებს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესებს და სხვ. ქ. თბილისის ბაზაზე კოლეჯს ჰყავს შესაბამისი სამედიცინო განათლების მქონე მედდა და დაწესებულებაში იწარმოება ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი.

ქ. ქუთაისის ბაზაზე დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის მერიოდში 2025 წლის 18 ივნისს გააფორმა მომსახურების ხელშეკრულება პირველად გადაუდებელ დახმარებაზე მომსახურების გაწევის შესახებ, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირთან. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა აღნიშნული პირის კვალიფიკაცია, რომელსაც უდასტურდება ექიმის კვალიფიკაცია. ინტერვიურებისას გადაუდებელ დახმარებაზე მომსახურების გაწევაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

პასუხისმგებელმა პირმა არასრულად იცოდა საკუთარი მოვალეობები, რაც იმით აიხსნა, რომ ხელშეკრულება ახალი გაფორმებულია და ჯერ თანამშრომლობის პროცესი არ დაწყებულა. 2025 წლის 18 ივნისამდე აღნიშნული მოვალეობა დავალებული ჰქონდა პირველადი გადაუდებელი დახმარების მოდულის განმახორციელებელ პირს, თუმცა რადგან პროფესიული მასწავლებელი მხოლოდ სალექციო დღეებში იქნება კოლეჯში, უწყვეტი მომსახურება ვერ იქნებოდა უზრუმველყოფილი.

ქ. ქუთაისის ბაზაზე ცალკე მოწყობილი არ იყო პირველადი გადაუდებელი დახმარების სივრცე, თუმცა დაწესებულებას ინვენტარი და თავისუფალი ოთახები გააჩნია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ ქ. ქუთაისის ბაზაზე სრულად აამოქმედოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა და მექანიზმები.*

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი

დაწესებულების ორივე ლოკაციაზე მოქმედებს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხებული „საგანგებო სიტუაციებში მოქმედების სამაშველო გეგმა“. შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი და განაწილებული ფუნქციები წევრებს შორის. აღნიშნული დადასტურებულია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2025 წლის 10 მარტის N MIA52500701339 წერილის საფუძველზე ქ. ქუთაისის, ხოლო 2025 წლის 16 მაისის N MIA 6 25 01468609 წერილის საფუძველზე ქ. თბილისის ლოკაციაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.3 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას

დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ, მის მფლობელობაში არსებულ ორივე ფართზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი კამერები, ფუნქციონირებს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა. იმ სივრცეებში, სადაც მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი, განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშნებიც. დაწესბულების ორივე ლოკაციაზე განსაზღვრულია უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრის“ დასკვნა ქ. თბილისი, ნინოშვილის ქ. N55-ში არსებული შენობის მდგრადობის თაობაზე;
2. შპს „კარიბჭეს“ მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნა ქ. ქუთაისი, გაპონოვის ქ. N11- ში არსებული შენობის მდგრადობის თაობაზე;
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დადებითი დასკვნა ქ. ქუთაისის ბაზაზე არსებულ შენობაში სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;
5. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 19.07 N03-07 ბრძანებით დამტკიცებული „უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესები“;
6. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2025 წლის 10 მარტის N MIA52500701339 წერილი ქ. ქუთაისის, და 2025 წლის 16 მაისის N MIA 6 25 01468609 წერილი ქ. თბილისის ლოკაციაზე საგანგებო მართვის მექანიზმების შეთანხმების შესახებ;
7. უსაფრთხოებასა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმე;
8. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პირადი საქმე;
9. დაცვისა და დასუფთავების თანამშრომლის თანხმობები თანამშრომლობის შესახებ;
10. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს

დაწესებულების ორივე ლოკაციაზე კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახი აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით. დაწესებულებას აქვს საკმარისი რაოდენობის კომპიუტერები ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში, IT ტექნიკა გამართულია და ინტერნეტი გამართულია. დაწესებულებას ორივე ლოკაციაზე განსაზღვრული ჰყავს IT პროცესებზე პასუხისმგებელი პირები, რომელთა კომპეტენცია საკმარისია დაწესებულების IT პროცესების ეფექტური მართვისთვის.

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 03 დეკემბრის N03-15 ბრძანებით დამტკიცებულია „საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, IT რესურსების ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის მექანიზმები“, რომლის მიხედვითაც კოლეჯში ქ. თბილისის ბაზაზე ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურებას ახორციელებს ქსელის ადმინისტრატორი, რომელიც პასუხისმგებელია კოლეჯში კომპიუტერული ტექნიკის გამართულ ფუნქციონირებასა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე.

კოლეჯში დასაქმებული პერსონალის და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, კოლეჯი აღჭურვილია შესაბამისი პარამეტრების მქონე კომპიუტერებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის და ადმინისტრაციული მუშაობის შეუფერხებლად წარმართვას. კოლეჯი უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტ მომსახურებით, რასაც ადასტურებს ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება და ადგილზე ინტერნტ მომსახურებით ფაქტობრივად სარგებლობის შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას

კოლეჯში ორივე ლოკაციაზე ხორციელდება საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვა, რის დასტურადაც წარმოდგენილია ორივე ლოკაციის ქსელის ადმინისტრატორების ანგარიშები, IT ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების რეკომენდაციები, მოთხოვნის ფორმები და შესყიდული ინვენტარი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას

დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 04 მარტის N03-02 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები“. პერსონალური მონაცემები კოლეჯის მიერ მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით დადგენილ შემთხვევებში. კოლეჯი ამუშავებს ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების პერსონალურ მონაცემებს. პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს საკუთარი საქმიანობის ფარგლებში. პერსონალური მონაცემების დამუშავებამდე კოლეჯი ვალდებულია მოიპოვოს სუბიექტის თანხმობა.

დაწესებულებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციას ასრულებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესწავლისას გამოვლინდა, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმებით გათვალისწინებული პროცესები, წარმოდგენილია წერილობითი თანხმობები პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების მხრიდან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები და ჰყავს პასუხიმგებელი პირი

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას

დაწესებულებაში საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასება სისტემატურად ხორციელდება. ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისის ლოკაციაზე IT რესურსების გამართულობაზე პასუხიმგებელმა პირმა ინტერვიურებისას განაცხადა, რომ ხშირად მოწმდება ტექნიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

გამართულობა, წარმოდგენილია დასკვნები, ტექნიკის გამართულობის უზრუნველყოფითვის ინვენტარის მოთხოვნის ფორმები და მათი შესყიდვის დოკუმენტები.

დაწესებულების მფლობელობაში არებული IT რესურსების ვიზუალური დათვალიერებითა და ფლობის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს ფაქტს, რომ კოლეჯს გააჩნია საკმარისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები, თუმცა IT ინფრასტრუქტურა საჭიროებს სრულყოფას, როგორც ქ. თბილისის, ისე ქ. ქუთაისის ბაზაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.4 დამაყოფილებულია, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 23 ივნისის N03-08 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალური რესურსის, მასალა-ნედლეულის შესყიდვის, გამოყენების, შენახვისა და განკარგვის, ასევე, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები“, რომელიც ადგენს მატერიალური რესურსების, მათ შორის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას კოლეჯის პროფესიული სტუდენტების და პერსონალისთვის. კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა დასაშვებია სასწავლო და სამუშაო მიზნებისთვის შეუზღუდავად. ორივე ლოკაციაზე შესაძლებელია ინტერნეტის სარგებლობა, მათ შორის არის უკაბელო ინტერნეტი (Wi-Fi).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება, გასაუმჯობესებელი საკითხები აღწერილია მეოთხე ინდიკატორში.

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომუნიკაციის მიზნით, კოლეჯი იყენებს ელექტრონულ ფოსტას. კოლეჯში ფუნქციონირებს ისეთი ელექტრონული სერვისები, როგორებიცაა: დოკუმენტაციის ბრუნვის ელექტრონული სისტემა (,,eflow“), სოციალური გვერდი და კოლეჯის ვებგვერდი. შესაბამისად, კოლეჯს გააჩნია და იყენებს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირების ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმს/სისტემას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua _____

_____

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.6 დაკმაყოფილებულია. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 03.12 N03-15 ბრძანებით დამტკიცებული „ინფორმაციული ტექნოლოგიის (IT) მართვის მექანიზმები და პროცედურები“;
2. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 04 მარტის N03-02 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები“;
3. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 23.06. N03-08 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალური რესურსის, მასალა-ნედლეულის შესყიდვის, გამოყენების, შენახვისა და განკარგვის, ასევე, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები“;
4. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
5. კოლეჯის სოციალური ქსელი და ვებგვერდი.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის N03-09 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“. კოლეჯში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქცია ადგენს კოლეჯში დოკუმენტური ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობებს, კორესპონდენციის რეგისტრაციის, დოკუმენტაციის აღრიცხვის, რეგისტრირებული კორესპონდენციის განხილვის და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის წესებს, კოლეჯში არსებული დოკუმენტების სახეებს, მათი რეგისტრაციისა და ინდექსირების წესებს, არქივის ფუნქციონირების მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

კოლეჯში მოქმედი საქმისწარმოების ერთიანი წესი შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და თანხვედრაშია საქმისწარმოების ერთიან ინსტრუქციასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის

დაწესებულება მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს მათ შორის - ვებგვერდი, სოციალური გვერდი, სატელეფონო კავშირი. კოლეჯში საქმისწარმოების მიზნით არსებობს ელექტრონული სისტემა "eflow", სადაც აღრიცხება შემოსული და გასული კორესპოდენცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", რომელიც განსაზღვრავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვის საკითხებს, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შეამოწმა სისტემაში ასახული პროფესიული სტუდენტები, ხოლო შერჩევით შემოწმდა პერსონალის შესახებ ინფორმაცია. დაწესებულება აწარმოებს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის N03-09 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი". განსაზღვრულია ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. კოლეჯში დოკუმენტების შესრულებასა და დროულ რეაგირებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. კოლეჯის სტრუქტურული ერთეულები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ ინფორმაციის დროულ მიწოდებას და გავრცელებას საკუთარი საქმიანობის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა მიღებული/გაგზავნილი ბოლო კორესპონდენცია, რომლის შედეგებიც სრულად შეესაბამება აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებს. შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს სხვადასხვა უწყებებთან სწორი და დროული კომუნიკაციის განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა კოლეჯის მიერ მიღებული და გაცემული კორესპოდენცია, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპოდენციის შესრულების ვადების დაცვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2020 წ. 26.06. N03-09 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 18.04.2023 N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა “eflow”;
4. დაწესებულების მიერ მიღებული და გაცემული კორესპოდენცია, სარეგისტრაციო ჟურნალები;
5. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.
6. დაწესებულების სოციალური ქსელი და ვებგვერდი.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 23 ივნისის N03-08 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის დებულება“, რომელიც განსაზღვრავს ადამიანური რესურსებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის მენეჯერის ფუნქციებს, რომელიც პასუხისმგებელია დაწესებულების კომუნიკაციის პლატფორმების მართვაზე. კოლეჯს აქვს ოფიციალური ვებგვერდი და ფეისბუქის სოციალური ქსელის გვერდი, ორივე სახის გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ძირითადი საკონტაქტო ინფორმაცია. სოციალური ქსელი იძლევა კოლეჯთან ინტერნეტ კომუნიკაციის საშუალებას. სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია სხვადასხვა სახის ვიზუალური და ტექსტური კონტენტი, ინფორმაცია მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების, სტრუქტურის, მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, განთავსებულია ახალი ამბები (თუმცა მწირია ინფორმაცია სიახლეების ნაწილში), დაწესებულების შინაგანაწესი, სტრატეგიული გეგმა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები და სხვ.

შესაბამისად, კოლეჯის ვებ და სოციალური ქსელის გვერდები არის გამოყენებული, ვებგვერდზე ნავიგაცია მარტივია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია მთავარ გვერდზეა ხელმისაწვდომი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე. კოლეჯის მისიასა და დასახელებაში არ არის განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი. შესაბამისად, კოლეჯს აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.2 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებას აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 23 ივნისის N03-08 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის დებულება“, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმებს. კოლეჯის თანამშრომლები შიდა და გარე კომუნიკაციას ახორციელებენ საკუთარი საქმიანობის ფარგლებში. ხოლო, ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში შემოსულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის და საჭიროების შემთხვევაში, გადამისამართების უფლებამოსილება აქვს ადამიანური რესურსებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს, რომელიც ასევე პასუხისმგებელია სოციალურ ქსელსა და ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე. ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის მიერ განხორციელებული ყველა საქმიანობა, ინფორმაცია იმ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვს მოპოვებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ

კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას კოლეჯის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროფესიული პროგრამების კატალოგი მოიცავს ინფორმაციას პროგრამების დასახელების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, პროგრამის მიზნების, დაშვების წინაპირობების, პროგრამის მოცულობისა და ხანგრძლივობის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

ასევე, თითოეული პროგრამისთვის მისაღწევი სწავლის შედეგების ჩამონათვალს, პროგრამის განხორციელების ადგილს. კოლეჯის კატალოგს დაწესებულებისთვის სარეკლამო სახის დანიშნულება აქვს და დაინტერესებულ პირს აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებულია. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად

დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რასაც ადასტურებს კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე წლების მიხედვით განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.5 დაკმაყოფილებულია. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხები. კოლეჯის საკომუნიკაციო არხებიდან, ოფიციალური სოციალური ქსელიდან, ელექტრონული ფორმის გამოკითხვებიდან, მეილებიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში, ხდება სათანადო რეაგირება.

ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის შედეგად მიღებული უკუკავშირი მუშავდება კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ, მოვალეობების შესაბამისად და გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნული დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან ინტერვიურებისას და მათ მიერ წარმოდგენილი წლიური საქმიანობის ანგარიში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.6 დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 23.06. N03-08 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის დებულება“;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
3. დაწესებულების პერსონალის საქმიანობის წლიური ანგარიში;
4. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
5. დაწესებულების სოციალური ქსელი და ვებგვერდი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
დაწესებულება ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. კოლეჯის მთავარი ბუღალტერი კალენდარული წლის დასაწყისში განსაზღვრავს დაწესებულების საპროგრანოზო შემოსავლებსა და ხარჯებს, ხოლო სამეურნეო წლის დასრულებისას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების ანალიზს და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განხორციელებული აქტივობები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით, რაც დასტურდება კოლეჯის მიერ სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშის დოკუმენტებით და კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 2024 წლის ფინანსური ანგარიში, ცალკეული სამეურნეო ოპერაციების განხორციელების ფინანსური ტრანზაქციის განხორციელების თაობაზე სისტემიდან ამოღებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც ირკვევა, რომ კოლეჯი ახორციელებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას

დაწესებულება ყოველწლიურად ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს და ახორციელებს ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე

დაწესებულება ყოველწლიურად ახორციელებს დაწესებულების ბიუჯეტს, რომელსაც იხილავს კოლეჯის დირექტორთან. მოცემული ანალიზის შესაბამისად ახორციელებს მომდევნო წლის ბიუჯეტების შემუშავებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების ბიუჯეტი და მისი შესრულების ანალიზის დოკუმენტები;
2. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სამოქმედო გეგმების შესრულების დოკუმენტები;
3. დაწესებულების პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	სპორტის ინსტრუქტორი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სპორტის ინსტრუქტორობაში / Higher Vocational Qualification in Sports Instruction
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1014
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის ბრძანება N03-04, 17.06. 2024წ. ცვლილება - N03-06, 17.02.2025წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. 55
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	ქ. თბილისი - 80

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	---
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

პროგრამის სახელწოდება	სპორტის ინსტრუქტორი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სპორტის ინსტრუქტორობაში / Higher Vocational Qualification in Sports Instruction
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1014
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის ბრძანება N03-04, 17.06. 2024წ. ცვლილება - N03-06, 17.02.2025წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი ბ. გაპონოვის 11
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	ქ. ქუთაისი - 40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	---
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua _____

_____

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამა - სპორტის ინსტრუქტორი (ქ თბილისი, ქ. ქუთაისი)	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამატების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

და გაუქმების წესით“, რომლის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც ახდენს საგანმანათლებლო სტანდარტით საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებას.

კოლეჯის მისია ეხმიანება სპორტის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „**სპორტის ინსტრუქტორი**“ შეესაბამება დაწესებულების მისიას.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - „**სპორტის ინსტრუქტორი**“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ასაკი არანაკლებ 18 წელი; კონკურსი - სპორტული ტური, რაც შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი საგანმანათლებლო სტანდარტით „სპორტის ინსტრუქტორობა“ განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები და ჩარიცხვის წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, აპლიკანტთა რეგისტაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

ზემოაღნიშნული დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ბრძანება პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ.

პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა დაწესებულების მიერ შეყვანილი ყველა ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთათვის სტატუსის მინიჭებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მექანიზმებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მიზნებისათვის“. კოლეჯის მიერ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთების რეგულაცია ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუანრიანობას, პერსონალის რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას აქვს შესაბამისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ქ. თბილისის ბაზაზე 80, ხოლო ქ. ქუთაისის ბაზაზე 40 პროფესიული სტუდენტის მიღებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„სპორტის ინსტრუქტორი“** განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები ემთხვევა საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. შესაბამისად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „**სპორტის ინსტრუქტორი**“ მოცულობაა 97 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 13, ხოლო პროფესიული მოდულების საერთო მოცულობაა - 84 კრედიტი. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამატების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის“ მიხედვით. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი არის კოლეჯის დირექტორი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„სპორტის ინსტრუქტორი“** დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N03-04 ბრძანებით, ხოლო ცვლილებები განხორციელებულია 2025 წლის 17 თებერვლის N03-06 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება **„სპორტის ინსტრუქტორი“** თანხვედრაშია სპორტის ინსტრუქტორობის საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის - **„სპორტის ინსტრუქტორი“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძნებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც არეგულირებს შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზების საკითხებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდის დაგეგმვისა და ადმინისტრირების პროცედურები, საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისა და მუშაობის პრინციპები, საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების აპელაციის პროცედურა და განმეორებითი შეფასების ორგანიზების თავისებურებები, გამოცდის მტკიცებულებების სახეები.

ვინაიდან კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა პირველი მიღება განხორციელდა 2024 წლის შემოდგომაზე, კოლეჯში ჯერ შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდები არ ჩატარებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 18.04.2023 N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამატების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი“;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სპორტის ინსტრუქტორი;
3. კოლეჯის დირექტორის 18.04.2023 N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
4. დირექტორის დირექტორის 18.04.2023 N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები და ჩარიცხვის წესი“;
5. დაწესებულების დირექტორის 18.04.2023 N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
6. კოლეჯის დირექტორის ბრძანება პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ;
7. პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები;
8. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემები;
9. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
10. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
11. დაწესებულების ვებგვერდი - http://www.sportcolle.ge/

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„სპორტის ინსტრუქტორი“** ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე როგორც ქ. თბილისის, ისე ქ. ქუთაისის ლოკაციაზე, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება პარტნიორი დაწესებულებების ბაზაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის **„სპორტის ინსტრუტორი“** განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და პროფესიული მოდულების თეორიული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულების ორივე ლოკაციაზე პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A და B გარემოებები, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა. ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში დაწესებულება უზრუნველყოფს ქ, თბილისში 80, ხოლო ქ. ქუთაისში 40 პროფესიული სტუდენტის სწავლებას. სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს:

<u>ქ. თბილისის ლოკაციაზე:</u>
1.საცურაო კომპლექსი შპს „არენა“, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 12 ივნისს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2030 წლის დეკემბერი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 20 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება ცურვის მოდული; ხელშეკრულების ფარგლებში, 2025 წლის 20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

იანვარს გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც შპს „არენა“ იღებს ვადებულებას 2025 წლის 20 იანვრიდან 30 ივლისის ჩათვლით და 15 სექტემბრიდან 28 სექტემბრის ჩათვლით, „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული პროგრამის „გამოყენებითი ცურვის“ მოდულის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გამოუყოს 1 ბილიკი საათნახევრით 4 სხვადასხვა საათობრივი განრიგით.

2. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 01 აპრილს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2030 წლის დეკემბერი, ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტის მართლზომიერ სარგებლობაში არსებული (ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას #76ბ) არსებული სპორტული მოედნებისა და სპორტული დარბაზებით უსასყიდლოდ სარგებლობის უფლება (ი.ჭავჭავაძის გამზ. N49) კოლეჯის მიერ „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული პროგრამის სტუდენტებისთვის პრაქტიკული მეცადინეობებისა (C გარემო) და თეორიული სწავლების (A გარემო) ჩასატარებლად, თითო ჯერზე 20 პროფესიული სტუდენტი;

3. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული პროგრამის დასრულებამდე (2 წელი); ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტის მართლზომიერ სარგებლობაში არსებული (ი.ჭავჭავაძის გამზ. N49) სპორტული მოედნებისა და სპორტული დარბაზებით უსასყიდლოდ სარგებლობის უფლება კოლეჯის მიერ „სპორტის ინსტრუქტორის“, მოდული - სპორტის სახეობები (სპორტული თამაშები), პროფესიული პროგრამის სტუდენტებისთვის პრაქტიკული მეცადინეობებისა (C გარემო) ჩასატარებლად, თითო ჯერზე 10-10 პროფესიული სტუდენტი;

4. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული პროგრამის დასრულებამდე (2 წელი); ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტის მართლზომიერ სარგებლობაში არსებული (ი. ჭავჭავაძის გამზ. N 49) სპორტული მოედნებისა და სპორტული დარბაზებით უსასყიდლოდ სარგებლობის უფლება კოლეჯის მიერ „სპორტის ინსტრუქტორის“, მოდული - სპორტის სახეობები (ფეხბურთი), პროფესიული პროგრამის სტუდენტებისთვის პრაქტიკული მეცადინეობებისა (C გარემო) ჩასატარებლად, თითო ჯერზე 15-15 პროფესიული სტუდენტი.

<u>**პროგრამის სავალდებულო პროფესიული მოდულის - „სპორტის სახეობები“ განხორციელების მიზნით დაწესებულების მიერ გაფორმებულია შემდეგი კოოპერაციული ხელშეკრულებები:**</u>

1. ა(ა)იპ „ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი“, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - **აკრობატიკა.** დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;

2. საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - **ძიუდო, კრივი.** დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

3. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 15 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - **ფეხბურთი.** დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;
4. საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - **ფარიკაობა.** დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;
5. საცურაო კომპლექსი შპს „არენა“, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - **ცურვა,** დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;
6. გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთისა კინოეს და ნიჩბოსნობის აკადემია, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - **ნიჩბოსნობა,** დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;

ქ. ქუთაისის ლოკაციაზე:
1. „ა(ა)იპ ქუთაისის ოლიმპიურ საცურაო აუზთან“ ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 12 ივნისს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2030 წლის დეკემბერი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 20 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება ცურვის მოდული;
2. „ა(ა)იპ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება-N19 მძლეოსნობის სასპორტო სკოლასთან“ ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 12 ივნისს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2030 წლის დეკემბერი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 20 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება მძლეოსნობის მოდული;
3. „ა(ა)იპ ქ. ქუთაისის მ. ყუფარაძის სახელობის N20 ტანვარჯიშის სპორტულ სკოლასთან“ ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 12 ივნისს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2030 წლის დეკემბერი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 20 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება გამოყენებითი ტანვარჯიშის მოდული;

პროგრამის სავალდებულო პროფესიული მოდულის - სპორტის სახეობები განხორციელების მიზნით დაწესებულების მიერ გაფორმებულია შემდეგი კოოპერაციული ხელშეკრულებები:
1. ა(ა)იპ ქ. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ომარ ფხაკაძის სახელობის N12 კომპლექსური სპორტული სკოლა, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - **საერთო ფიზიკური მომზადება,** სადაც დასაზუსტებელია სპორტის რომელი სახეობა იგულისხმება. დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

2. ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების დავით ხახალეიშვილის სახელობის ჭიდაობის N17 კომპლექსური სპორტული სკოლა, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - **სპორტული თამაშები (ძალოსნობა, ჭიდაობა),** დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან.

დაწესებულების მიერ მწვრთნელებთან გაფორმებულ წინარე ხელშეკრულებაში არ არის მითითებული სპორტის რომელი სახეობის ფარგლებში ითანამშრომლებენ, რადგან აღნიშნული მოდული ჯერ არ დაწყებულა, დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულება ჯერ არ გაუფორმებია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, *თუმცა რეკომენდებულია: 1. დაწესებულებამ მწვრთნელებთან გაფორმებულ წინარე და შემდგომ ხელშეკრულებებში მიუთითოს სპორტის რომელი სახეობის ფარგლებში ითანამშრომლებენ; 2. დაწესებულებამ ქ. თბილისის ლოკაციაზე უზრუნველყოს ცურვის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების გაძლიერება ახალი ობიექტის მოძიების ან არსებულის დატვირთვის გაზრდის უზრუნველყოფით.*

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

ქ. თბილისის ლოკაციაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „**სპორტის ინსტრუქტორი**“ განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 29 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში „**სპორტის ინსტრუქტორის**“ პროგრამისთვის მოიაზრება 37 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ქ. ქუთაისის ლოკაციაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „**სპორტის ინსტრუქტორი**“ განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 3 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში „**სპორტის ინსტრუქტორის**“ პროგრამისთვის მოიაზრება 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული იქნება ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, *თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული იქნება ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.*

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „**სპორტის ინსტრუქტორის**“ განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს სასწავლო პროცესის დაწყებისას გავლილი აქვს ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კალენდარული გეგმის შემუშავების და პროფესიული სტუდენტების შეფასების საკითხებზე, თუმცა აღნიშნულის საჭიროება ისევ აქტუალურია, რადგან სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სპეციფიკური საკითხები თვალსაჩინო გახდა.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ იზრუნოს პერსონალის კომპეტენციის ამაღლებაზე სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ.*

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - „**სპორტის ინსტრუქტორი**“ ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი ორივე ლოკაციაზე, რომელთაც აქვთ როგორც სწავლების, ასევე სპორტის სფეროში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელებთან. პროგრამის ხელმძღვანელები იცნობენ საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და ფლობენ ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი ორივე ლოკაციაზე, რომლებიც ჩართულნი არიან პროფესიული მოდულების განოხრციელების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - „**სპორტის ინსტრუქტორი**“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოვალეობას, შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით.

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლია და მსგავსი გამოცდილებაც არ გააჩნია. კოლეჯს არ ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალიტი, თუმცა, რეგულაციით განსაზღვრულია, რომ შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ასისტენტის სასწავლო პროცესში ჩართულობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

ორივე ლოკაციაზე კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ კოლეჯს არ ჰყოლია ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი, თუმცა ასეთი სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში ბიბლიოთეკა მზადაა მოემსახუროს და გაუწიოს მისთვის საჭირო სერვისი, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „**სპორტის ინსტრუქტორი**“ განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. დაწესებულებამ მიმდინარე წლის ნოემბერში დაიწყო სასწავლო პროცესი, ამიტომ ჯერ შუალედური ან დაზუსტებული ბიუჯეტი არ შემუშავებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - საცურაო კომპლექსი შპს „არენა“;
2. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
3. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - ა(ა)იპ „ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი“;
4. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - „საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია“;
5. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - „საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია“;
6. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთისა კინოეს და ნიჩბოსნობის აკადემია“;
7. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - „ა(ა)იპ ქუთაისის ოლიმპიურ საცურაო აუზთან“;
8. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - „ა(ა)იპ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება-N19 მძლეოსნობის სასპორტო სკოლა“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

9. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - „ა(ა)იპ ქ. ქუთაისის მ. ყუფარაძის სახელობის N20 ტანვარჯიშის სპორტულ სკოლა“;
10. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - „ა(ა)იპ ქ. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ომარ ფხაკაძის სახელობის N12 კომპლექსური სპორტული სკოლა“;
11. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - „ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების დავით ხახალეიშვილის სახელობის ჭიდაობის N17 კომპლექსური სპორტული სკოლა“;
12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„სპორტის ინსტრუქტორი“;**
13. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;
14. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
15. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
16. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
17. დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის დებულება“. შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში პროცესები გაწერილია PDCA პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე პროცესების შეფასებას. ძირითადი პროცესი კოლეჯში არის სასწავლო პროცესი. კოლეჯში მოქმედებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ამოცანაა ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მუშაობის ხელშეწყობა. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ამოცანაა მოიპოვოს ინფორმაცია შემდეგი კატეგორიების მიხედვით:
ა) პროგრამები - სასწავლო, კალენდარული და თემატური გეგმები, ბ) სტუდენტები - შეფასების კომპონენტები; კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია, დასაქმების მაჩვენებელი, გ)საგანმანათლებლო რესურსების ადეკვატურობა, ხელმისაწვდომობა, განახლება, მონიტორინგი; დ)მატერიალური რესურსი - სასწავლო გარემო, აღჭურვილობის საკმარისობა და შესაბამისობა.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

ვინაიდან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პირველი ნაკადის მიღება განხორციელდა 2024 წლის შემოდგომაზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მექანიზმები ჯერ არ ამოქმედებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად
დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები, რომელიც ეყდნობა პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, წარმოადგენს პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მონიტორინგის მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

ვინაიდან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პირველი ნაკადის მიღება განხორციელდა 2024 წლის შემოდგომაზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მექანიზმები ჯერ არ ამოქმედებულა. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილია სასწავლო პროცესზე დასწრების ფორმები, მან აღნიშნა, რომ ესწრება სასწავლო პროცესს, თუმცა ანგარიშგება და გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებები არ ხორციელდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, *თუმცა რეკომენდებულია გაძლიერდეს ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები, პროცესების ეფექტიანი შეფასება, ანგარიშგება და გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებები.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 18.04.2023 No 03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 18.04.2023 No 03-06 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის დებულება“;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „**სპორტის ინსტრუქტორი**“ და მისი დანართები;
4. დაწესებულების პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები;
5. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - "**სპორტის ინსტრუქტორი**" ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი და სასწავლო პროცესის კოორდინატორები, რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობით ადგენენ სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფენ მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "**სპორტის ინსტრუქტორი**" სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პრაქტიკის ოთხი ობიექტის წარმომადგენელს, ქ. ქუთაისსა და ქ. თბილისში, სადაც პროფესიული სტუდენტები გადიან პრაქტიკულ სწავლებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი და კოორდინატორები პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭიროების შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „**სპორტის ინსტრუქტორი**“ ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები, მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის.

ვინაიდან დაწესებულებაში პრფესიულ სტუდენტთა პირველი ნაკალდი 2024 წლის შემოდგომაზე მიიღეს, კოლეჯს არ ჰყავდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„სპორტის ინსტრუქტორი“** განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს:

ქ. თბილისის ლოკაციაზე:

1.საცურაო კომპლექსი შპს „არენა“, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 12 ივნისს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2030 წლის დეკემბერი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 20 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება ცურვის მოდული; ხელშეკრულების ფარგლებში, 2025 წლის 20 იანვარს გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც შპს „არენა“ იღებს ვადებულებას 2025 წლის 20 იანვრიდან 30 ივლისის ჩათვლით და 15 სექტემბრიდან 28 სექტემბრის ჩათვლით, „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული პროგრამის „გამოყენებითი ცურვის“ მოდულის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გამოუყოს 1 ბილიკი საათნახევრით 4 სხვადასხვა საათობრივი განრიგით.

2. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 01 აპრილს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2030 წლის დეკემბერი, ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტის მართლზომიერ სარგებლობაში არსებული (ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას #76ბ) არსებული სპორტული მოედნებისა და სპორტული დარბაზებით უსასყიდლოდ სარგებლობის უფლება (ი.ჭავჭავაძის გამზ. N49) კოლეჯის მიერ „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული პროგრამის სტუდენტებისთვის პრაქტიკული მეცადინეობებისა (C გარემო) და თეორიული სწავლების (A გარემო) ჩასატარებლად, თითო ჯერზე 20 პროფესიული სტუდენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

3. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული პროგრამის დასრულებამდე (2 წელი); ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტის მართლზომიერ სარგებლობაში არსებული (ი.ჭავჭავაძის გამზ. N49) სპორტული მოედნებისა და სპორტული დარბაზებით უსასყიდლოდ სარგებლობის უფლება კოლეჯის მიერ „სპორტის ინსტრუქტორის“, მოდული - სპორტის სახეობები (სპორტული თამაშები), პროფესიული პროგრამის სტუდენტებისთვის პრაქტიკული მეცადინეობებისა (C გარემო) ჩასატარებლად, თითო ჯერზე 10-10 პროფესიული სტუდენტი;
4. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული პროგრამის დასრულებამდე (2 წელი); ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტის მართლზომიერ სარგებლობაში არსებული (ი. ჭავჭავაძის გამზ. N 49) სპორტული მოედნებისა და სპორტული დარბაზებით უსასყიდლოდ სარგებლობის უფლება კოლეჯის მიერ „სპორტის ინსტრუქტორის“, მოდული - სპორტის სახეობები (ფეხბურთი), პროფესიული პროგრამის სტუდენტებისთვის პრაქტიკული მეცადინეობებისა (C გარემო) ჩასატარებლად, თითო ჯერზე 15-15 პროფესიული სტუდენტი.

<u>**პროგრამის სავალდებულო პროფესიული მოდულის - „სპორტის სახეობები“ განხორციელების მიზნით დაწესებულების მიერ გაფორმებულია შემდეგი კოოპერაციული ხელშეკრულებები:**</u>

1. ა(ა)იპ „ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი“, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - **აკრობატიკა.** დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;
2. საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - **ძიუდო, კრივი.** დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;
3. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 15 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - **ფეხბურთი.** დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;
4. საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - **ფარიკაობა.** დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;
5. საცურაო კომპლექსი შპს „არენა“, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - **ცურვა,** დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

6. გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთისა კინოეს და ნიჩბოსნობის აკადემია, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - **ნიჩბოსნობა,** დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;

ქ. ქუთაისის ლოკაციაზე:

1. „ა(ა)იპ ქუთაისის ოლიმპიურ საცურაო აუზთან“ ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 12 ივნისს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2030 წლის დეკემბერი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 20 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება ცურვის მოდული;
2. „ა(ა)იპ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება-N19 მძლეოსნობის სასპორტო სკოლასთან“ ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 12 ივნისს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2030 წლის დეკემბერი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 20 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება მძლეოსნობის მოდული;
3. „ა(ა)იპ ქ. ქუთაისის მ. ყუფარაძის სახელობის N20 ტანვარჯიშის სპორტულ სკოლასთან“ ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 12 ივნისს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2030 წლის დეკემბერი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 20 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება გამოყენებითი ტანვარჯიშის მოდული;

პროგრამის სავალდებულო პროფესიული მოდულის - სპორტის სახეობები განხორციელების მიზნით დაწესებულების მიერ გაფორმებულია შემდეგი კოოპერაციული ხელშეკრულებები:

1. ა(ა)იპ ქ. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ომარ ფხაკაძის სახელობის N12 კომპლექსური სპორტული სკოლა, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - **საერთო ფიზიკური მომზადება,** სადაც დასაზუსტებელია სპორტის რომელი სახეობა იგულისხმება. დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;
2. ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების დავით ხახალეიშვილის სახელობის ჭიდაობის N17 კომპლექსური სპორტული სკოლა, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - **სპორტული თამაშები (ძალოსნობა, ჭიდაობა),** დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებს. პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლები ადასტურებენ კოლეჯთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას, ასაბუთებენ ამ თანამშრომლობის მნიშვნელობას და მზად არიან უზრუნველყონ კურსდამთავრებულთა დასაქმება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „**სპორტის ინსტრუქტორი**“ განხორციელებისთვის შემუშავებულია უსაფრთხოების ნორმები. კოლეჯში და პრაქტიკის ობიექტზე უსაფრთხოების ნორმები დაცულია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - საცურაო კომპლექსი შპს „არენა“;
2. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
3. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - ა(ა)იპ „ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი“;
4. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - „საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია“;
5. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - „საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია“;
6. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთისა კინოეს და ნიჩბოსნობის აკადემია“;
7. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - „ა(ა)იპ ქუთაისის ოლიმპიურ საცურაო აუზთან“;
8. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - „ა(ა)იპ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება-N19 მძლეოსნობის სასპორტო სკოლა“;
9. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - „ა(ა)იპ ქ. ქუთაისის მ. ყუფარაძის სახელობის N20 ტანვარჯიშის სპორტულ სკოლა“;
10. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - „ა(ა)იპ ქ. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ომარ ფხაკაძის სახელობის N12 კომპლექსური სპორტული სკოლა“;
11. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - „ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების დავით ხახალეიშვილის სახელობის ჭიდაობის N17 კომპლექსური სპორტული სკოლა“;
12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „**სპორტის ინსტრუქტორი“;**
13. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

14. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
15. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
16. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
17. დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც მოცემულია ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესების შესახებ. წესი არეგულირებს, ასევე, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ(ებ)ის თემატიკაზე დაყრდნობით. მოდულის განხორციელების დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. სასწავლო პროცესის მენეჯერი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციას, ვალიდაციის პროცესში ჩართულები არიან დარგის სპეციალისტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში დასრულებული იყო 4 მოდული, შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა შეფასება განხორციელდა. გადაბარების საჭიროება დადგა პროფესიულ სტუდენტთა არგამოცხადების საფუძვლით, თუმცა ჯერ განხორციელებული არ იყო. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს შეფასების თაობაზე მათი ინფორმირება და მხარდაჭერა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის დებულება“ ითვალისწინებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის საკითხებს.

მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში 4 მოდული დასრულებული იყო, ვერიფიკაციის პროცესი არ დაწყებულა. ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ პროფესიული მოდულების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას განახორციელებს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ვინაიდან პროგრამა პირველად ხორციელდება კოლეჯში, რეკომენდებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია განხორციელდეს სრულად, ხოლო შემდომ ჯერზე გამოყენებულ იქნეს რისკების სისტემა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია განხორციელდეს სრულად, ყველა მოდულზე, შემდგომ პერიოდებში გამოყენებულ იქნას რისკების სისტემა.*

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით
დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ: დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ მიხედვით, დოკუმენტაციის სახის მტკიცებულება ინახება პროგრამების სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს და ინახება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული შეფასების უწყისები, მტკიცებულებები. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მიხედვით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება. რეგულაციაში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

ინტერვიუირებით დადასტურდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 18.04.2023 No 03-06 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 18.04.2023 No 03-06 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის დებულება“;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში; Higher Vocational Qualification in Massage Therapy
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის ბრძანება N03-05, 17.02.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. 55
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	---
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	ქ. თბილისი - 15

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	---
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში; Higher Vocational Qualification in Massage Therapy
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის ბრძანება N03-05, 17.02.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი ბ. გაპონოვის 11
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	ქ. ქუთაისი - 15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	---
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua _____

_____

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
საგანმანათლებლო პროგრამა - მასაჟის თერაპია (ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამატების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესით“, რომლის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც ახდენს საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua Digitally signed by Irma Kortua

კოლეჯის მისია ეხმიანება სპორტის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„მასაჟის თერაპია“** შეესაბამება დაწესებულების მისიას.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - **„მასაჟის თერაპია“** დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ასაკი არანაკლებ 18 წელი.

კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები და ჩარიცხვის წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, აპლიკანტთა რეგისტაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

დაწესებულებას სურს განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„მასაჟის თერაპია“**, შესაბამისად კოლეჯს ამ პროგრამაზე ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Irma Kortua
Digitally signed by Irma Kortua

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
